დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(სსიპ - შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალის საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ხათუნა ლოდია

წევრები:

- მაია აბდელანი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)
- ქეთევან ბასილაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)
- ნონა ხომასურიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)
- კახაბერ ფარცვანია (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი)
- ნანა ჩხიკვაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი)
- ნადია დაბრუნდაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი)
- როლანდი ხოჯანაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი)
- ნანი სალია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი)
- ვლადიმერ უშიკიშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი)
- ხათუნა ბენდელიანი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი)

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	247861639

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	სოფელი ჭალა
ფაქტობრივი მისამართი	შუახევის მუნიციპალიტეტი სოფელი ჭალა
საფოსტო ინდექსი	6300
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://shorturl.at/5zxZq
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Shuchala@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577 17 57 23

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	N590292 (29.05.2025)
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	10.07.2025 11.07.2025

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა**	**სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	შუახევის მუნიციპალიტეტი სოფელი ჭალა შენობა-ნაგებობა 1
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	შუახევის მუნიციპალიტეტი სოფელი ჭალა შენობა-ნაგებობა 1
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	შუახევის მუნიციპალიტეტი სოფელი ჭალა შენობა-ნაგებობა 1

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ - შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალის საჯარო სკოლაში, საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 10 და და 11 ივლისს. ვიზიტი კონსტრუქციულად და მშვიდად წარიმართა. ექსპერტებმა განიხილეს სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია, შედგა ინტერვიუ სკოლის დირექციის, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პედაგოგებთან. განხორციელდა მატერიალური ინფრასტრუქტურის, რესურსების დათვალიერება, თანამშრომელთა პირადი საქმეების და სხვა დოკუმენტაციის შესწავლა, განათლების

მართვის საინფორმაციო სისტემაში სკოლის პირადი გვერდის დათვალიერება. საგნობრივმა ექსპერტებმა მიიღეს მათთვის საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 100	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	ხარვეზი

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N1.2.1.3	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას	შემუშავდეს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. შესრულების ვადა - 08.09.2025
ინდიკატორი N1.2.1.4	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია	ერთწლიან სამოქმედო გეგმაში განისაზღვროს შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. შესრულების ვადა - 08.09.2025
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N3.1.2.1	პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად	მასწავლებლებთან გაფორმდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებები. შესრულების ვადა - 19.09.2025
ინდიკატორი N3.1.2.3	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით	სკოლაში დასაქმებულ პირთა პირად საქმეებში, სრულყოფილად იქნას წარმოდგენილი ზოგადი განათლების შესახებ კანონითა და მთავრობის N463 დადგენილების შესაბამისი ცნობები. შესრულების ვადა - 01.11.2025

ინდიკატორი N3.1.2.4	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს	სკოლაში დასაქმდეს ტექნოლოგიების მასწავლებელი, რომლის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. შესრულების ვადა - 11.08.2026
ინდიკატორი N3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	• სკოლამ უზრუნველყოს მანდატურის სამსახურის მიერ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის გადამზადება და შესაბამისი სერტიფიკატის წარმოდგენა • სკოლამ წარმოადგინოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური. • სკოლამ წარმოადგინოს მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთა შესაბამისობის შესახებ. შესრულების ვადა - 01.09.2027
ინდიკატორი N3.4.1.2	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას	• სკოლაში სამედიცინო პერსონალი დასაქმდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. • სამედიცინო კაბინეტი აღიჭურვოს შირმით.

		• გახარჯული მედიკამენტების და სამედიცინო მასალების, ვადაგასული მედიკამენტების და სამედიცინო მასალების გაწეული სამედიცინო მომსახურების აღრიცხვა განხორციელდეს კანონმდებლობით დადგენილი ფორმების შესაბამისად. შესრულების ვადა - 01.09.2026
ინდიკატორი N3.5.1.3	სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით	ბიბლიოთეკაში წარმოდგენილი წიგნადი ფონდი დამუშავდეს საბიბლიოთეკო სტანდარტის შესაბამისად. შესრულების ვადა - 01.03.2026
ინდიკატორი N3.5.1.4	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს	სკოლაში მოეწყოს ადაპტირებული საპირფარეშო. შესრულების ვადა - 01.09.2027

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N 2.1.2..4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური დ ითვალისწინებს დიფერენცირებუ მიდგომებს	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა** ჯგუფში შემავალი საგნების სასწავლო პროცესში და საგნობრივ კურიკულუმში გამოიკვეთოს სწავლების დიფერენცირებული მიდგომები, განისაზღროს მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული მრავალფეროვანი აქტივობები შესრულების ვადა - 15.09.2025
ინდიკატორი N2.1.2..5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამ ეროვნული სასწავლო გეგმი განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა დ ამოცანებს	სკოლამ შეიმუშავოს - კონკრეტულ თემაზე მორგებული შეფასების რუბრიკებ **(საბუნებისმეტყველო მეცნიერებები);** ფორმა მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების დიაგნოსტირების მიზნით, რაც გამოადგებათ სასწავლო პროცესის სწორად დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. **ტექნოლოგიების** მასწავლებლებმა შექმნან ცნებებზე და გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი

		შეფასების რუბრიკები შესრულების ვადა - 23.09.2025
ინდიკატორი N 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდურ გამჭვირვალე, სანდო, ობიექტურ სამართლიანი	სკოლამ შეიმუშავოს შეფასების რუბრიკები (**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**), რომლის საფუძველზე გამოიკვეთება, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. სკოლამ შეიმუშავოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი შეფასების უზრუნველმყოფი შეფასების რუბრიკები შეფასების რუბრიკები (**ტექნოლოგიები**). შესრულების ვადა - 23.09.2025
ინდიკატორი N 2.2.2.4	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი	სკოლაში დასაქმდეს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი ტექნოლოგიების მასწავლებელი. შესრულების ვადა - 11.08.2026

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N 2.1.2..4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა** ჯგუფში შემავალი საგნების სასწავლო პროცესში და საგნობრივ კურიკულუმში გამოიკვეთოს სწავლების დიფერენცირებული მიდგომები, განისაზღროს მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული მრავალფეროვანი აქტივობები შესრულების ვადა - 15.09.2025
ინდიკატორი N 2.1.2..5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო	სკოლამ შეიმუშავოს - კონკრეტულ თემაზე მორგებული შეფასების რუბრიკები (**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**); ფორმა მოსწავლეთა

	გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	ცოდნისა და უნარების დიაგნოსტირების მიზნით, რაც გამოადგებათ სასწავლო პროცესის სწორად დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. შესრულების ვადა - 23.09.2025
ინდიკატორი N 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	სკოლამ შეიმუშავოს შეფასების რუბრიკები (**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**), რომლის საფუძველზე გამოიკვეთება, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. შესრულების ვადა - 23.09.2025
ინდიკატორი N2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:*** სკოლაში მოეწყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. შესრულების ვადა - 15.09.2026

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლ პროგრამა)	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებ	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა** ჯგუფში შემავალი საგნების სასწავლო პროცესში და საგნობრივ კურიკულუმში გამოიკვეთოს სწავლების დიფერენცირებული მიდგომები, განისაზღროს მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული მრავალფეროვანი აქტივობები შესრულების ვადა - 15.09.2025
ინდიკატორი N2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	სკოლამ შეიმუშავოს - კონკრეტულ თემაზე მორგებული შეფასების რუბრიკები (**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**); ფორმა მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების დიაგნოსტირების მიზნით, რაც გამოადგებათ სასწავლო პროცესის სწორად დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში.

		შესრულების ვადა - 23.09.2025
ინდიკატორი N2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	სკოლამ შეიმუშავოს შეფასების რუბრიკები **(საბუნებისმეტყველო მეცნიერებები)**, რომლის საფუძველზე გამოიკვეთება, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. შესრულების ვადა - 23.09.2025
ინდიკატორი N2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	სკოლაში მოეწყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. შესრულების ვადა - 15.09.2026

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*რჩევა*
ინდიკატორი N1.1.1.3	*სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით*	*ფილოსოფიის რევიზია განხორციელდეს მეთოდოლოგიის შესაბამისად.*
ინდიკატორი N1.1.1.4	*სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ*	*ფილოსოფიის რევიზიის დროს, სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების სასკოლო საზოგადოებასთან გაზიარება განხორციელდეს მეთოდოლოგიის შესაბამისად.*
ინდიკატორი N1.2.1.3	*სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ*	*მიზანშეწონილია, სამოქმედო გეგმა შემუშავდეს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამისად.*

	თვითშეფასებას	
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი N3.1.2.2	*სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა*	*განისაზღვროს აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვის შესაძლებლობას, კონკრეტული კადრების (სპეციალური მასწავლებლისა და უსტატუსო მასწავლებლის) მიერ კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში.*
ინდიკატორი N3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)*	*სკოლაში დასაქმდეს კანონმდებლობის შესაბამისი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი*

ინდიკატორი N3.5.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით*	*მიზანშეწონილია, ღობით შემოისაზღვროს და მოწესრიგდეს სკოლის ეზოს უკანა მხარე.*
ნდიკატორი N3.7.1.2	სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.)	სასურველია, სკოლამ უზრუნველყოს ბიუჯეტის დამტკიცება წინა წლის ბოლოს — დეკემბერში, რაც ხელს შეუწყობს დროული შესყიდვებისა და ფინანსური აქტივობების შეუფერხებელ განხორციელებას.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	რჩევა
ინდიკატორი N2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:**

	დაგეგმვისა და განვითარების გზას;	სასურველია, სკოლამ მოსწავლეებს შეთავაზოს უფრო მრავალფეროვანი შემოქმედებით დავალებები, რითაც მოზარდები უფრო მეტი სასწავლო უნარის წარმოჩენასა და განვითარებას შეძლებენ. **სახელმწიფო ენა:** სასურველია, გამოცდილების გაზიარების შემთხვევაში, სკოლამ ნათლად გამოკვეთოს საკუთარი ვარიაციები. **მათემატიკა:** სასურველია დაემატოს შემოქმედებითი ტიპის დავალებები და მიეთითოს მეტი რესურსი. **ტექნოლოგიები:** ყველა კლასის კურიკულუმში, სასურველია განხილული იყოს კომპიუტერული ტექნოლოგიების ყველა სამიზნე ცნება. გამოყენებული ბმულები საჭიროებს გადამოწმებას, რადგან ზოგიერთი მათგანი არ გადადის შესაბამის მისამართზე.
ინდიკატორი N 2.1.2..2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** სასურველია, შემოქმედებითი შუალედური სასწავლო მიზნის პროდუქტის უფრო გამრავალფეროვნება. **საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია, ახალი სასაწავლო წლის საგნობრივი კურიკულუმების შემუშავების დროს, საზოგადეობრივი მეცნიერებების ჯგუფში შემავალ საგნების კურიკულუმშ,ი ყველა თემის ფარგლებში წარმოდგენილი იქნას შუალედური მიზანი -შემოქმედებითი პროდუქტის სახით, რადგან ეროვნულ სასწავლო გეგმაში სასწავლო პროცესში შუალედური სასწავლო მიზანი განისაზღვრება შემოქმედებით პროდუქტის სახით ,რომლის საშუალებითაც მოსწავლე საგნობრივ საკითხთან/საკითხებთან მიმართებით საკუთარ ცოდნას წარმოაჩენს, რომელიც თავის მხრივ მიემართება გრძელვადიანი

		მიზნებისკენ.ასევე, გადაიხედოს სამიზნე ცნებები - საგან მე და საზოგადოება(მე-4 კლასი) თემა:მე და ჩემი ქვეყანა. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური:** სასურველია კურიკულუმების დახვეწისა და განვითარების მიზნით, პედაგოგთა პროფესიული განვითარების უზრუნველყოფა საგნობრივი კათედრების მიერ.
ინდიკატორი N 2.1.2..3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიე კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** სასურველია, კურიკულუმში ჩანდეს არა მარტო ელექტრონული რესურსების ჩამონათვალი და სახელმძღვანელოს გვერდები, არამედ ლაბორატორიული ხელსაწყოები, ან ვირტუალური ლაბორატორიის შესაბამისი სიმულაციების ბმულები. **საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია, საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფში შემავალ ყველა საგნის კურიკულუმში გარდა გრიფირებული სახელმძღვანელოსი მითითებული იყოს შესაბამისი თემის, საკითხის ფარგლებში დამატებითი რესურსებიც.მაგ;ანიმაციები, ტელესკოლის გაკვეთილები, ვიდეოები და ა.შ.,რაც უფრო მრავალფეროვანს გახდის სასწავლო პროცესს, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრულ სწავლის შედეგების მიღწევას. **უცხოური ენები:** სასურველია, ორივე ენაში და ყველა კურიკულუმში მითითებული იყოს დამხმარე სასწავლო რესურსები. ასევე, სასურველი იქნება რესურსების მრავალფეროვნებას მიექცეს ყურადღება. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური:**

		სასურველია, კურიკულუმში მითითებული რესურსების მიზნობრიობის დაზუსტება, გათვალისწინება, დაკონკრეტება, ლინკებისა და გამოყენებული მასალის სწორად მითითება.
ინდიკატორი N 2.1.2..4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	**ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური:** სასურველია, კურიკულუმში აისახოს სასწავლო წლის განმავლობაში მიღებული გამოცდილების შესაბამისი ჩანაწერები დავალებების დიფერენცირებასთან დაკავშირებით.
ინდიკატორი N 2.1.2..5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია, საზოგადოებრივი მეცნიერებების შემავალმა საგნებმა კათედრებზე ერთობლივად შეიმუშაონ და გამოიყენონ ყველა თემის შესაბამისი, როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. **სახელმწიფო ენა:** სასურველია, შეფასების რუბრიკების რაოდენობა გაზარდონ და გამოიყენონ ყველა განმსაზღვრელი შეფასების დროს, ეფექტიანად გამოიყენონ განმავითარებელი შეფასება დაზუსტების, წახალისებისა და რჩევის კომპონენტების დაცვით. **მათემატიკა:** სასურველია, შექმნან შუალედური მიზნის შესაბამისი, კონკრეტული თემის შესაბამისი შეფასების რუბრიკები, თითოეულ საფეხურზე, ყველა თემასთან დაკავშირებით და გამოიყენონ ყველა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების დროს. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური:** სასურველია, დაწყებითი საფეხურის კათედრაზე გააქტიურდეს პედაგოგთა თანამშრომლობა, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნით, რომ მათ შეძლონ შეფასების რუბრიკებში სხვადასხვა შესაძლებლობების

		მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება და კურიკულუმში შესაბამისი აქტივობების გაწერა, ასევეე დაადგინონ მათი მიღწევების დონე ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან მიმართებით.
ინდიკატორი N 2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** კარგი იქნებოდა, მეტი დამაჯერებლობისთვის სკოლას წარმოედგინა მოსწავლეათა ნამუშევრები, შემოქმედებითი დავალების პროდუქტები (მოდელები, მაკეტები და სხვ.), რაც მეტ ინფორმაციას მოგვცემდა, თუ როგორ იმუშავა დაგეგმილმა აქტივობებმა და რა შედეგზე გავიდა საბოლოოდ მასწავლებელი. **საზოგადოებრივი მეცნიერებები**: საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფში შემავალ საგნების კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი იყოს სამივე საფეხურზე თითოეული თემის შესასწავლი საკითხის ფარგლებში განსაზღვრული აქტივობები, რომელიც უზრუნველყოფს სწავლის შედეგებს, რადგან ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით სწავლის შედეგი მიღწეულად მიიჩნევა, როცა მოსწავლეს შეუძლია საგნობრივ საკითხთან დაკავშირებული ფაქტებისა და მოვლენების კრიტიკულად და ურთიერთდაკავშირებულად გააზრება, გაანალიზება და სხვადასხვა სიტუაციაში გამოყენება.ასევე ,მომავალი წლისათვის ყველა თემის ფარგლებში შეიტანონ შუალედური სასწავლო მიზანი, რომელიც განისაზღვრება შემოქმედებითი პროდუქტის(კომპლექსური ტიპის დავალება) სახით ,რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეს წარმოაჩინოს საკუთარი ცოდნა საგნობრივ საკითხთან/საკითხებთან მიმართებით. **სახელმწიფო ენა:** სასურველია, მომდევნო სასწავლო წლისთვის, თემის ფარგლებში, გაზარდონ შემქმედებითი ტიპის დავალებათა იდეების რაოდენობა, რადგან დაგეგმილზე მეტი სრულდება ზოგიერთ კლასში.

		მათემატიკა: სასურველი, 2025-2026 სასწავლო წლის დაგეგმვისა და შემუშავების დროს გათვალისწინებული და ასახული იქნას მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში მიღებული გამოცდილება და შეიმუშავონ კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური:** სასურველია, კურიკულუმების შემუშავებისას, დაწყებითი კლასების საგნობრივმა კათედრამ უზრუნველყოს და გაითვალისწინოს საგნის კურიკულუმის შეთანხმებული დიზაინის შესაბამისობა სასკოლო კურიკულუმთან.
ინდიკატორი N 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია, საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ, სამივე საფეხურზე შეფასების რუბრიკების შექმნისას მომავალში უფრო მეტად ორიენტირება გააკეთონ გრძელვადიან მიზნებზე და მომავალში ყველა თემის შემაჯამებელ ან შემოქმედებით დავალების რუბრიკებში ყველა სამიზნე ცნების აღქმა-გააზრება შეფასდეს მოცემული საკითხის კონტექსტში. კარგი იქნება თუ საზოგადოებრივი კათედრის წარმომადგენლები ინტენსიურად იმუშავებენ შეფასების სისტემის გადამუშავებაზე და შექმნიან უფრო მეტ კონკრეტულ დავალებაზე მორგებულ შეფასების რუბრიკებს. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური:** განმავითარებელი შეფასების რუბრიკის კრიტერიუმების შესამუშავებლად და დასახვეწად აუცილებელია დაწყებითი კლასების კათედრამ ითანამშრომლოს პედაგოგებთან რომ შეფასება იყოს კონკრეტული და თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას/პროგრესს გვიჩვენებდეს.
ინდიკატორი N 2.2.1.4	სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი	სასურველია ასევე გამოყენებულ იყოს მოსწავლეთა ურთიერთშეფასებაც.

ინდიკატორი N 2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითად და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია, სამივე საფეხურზე საგნობრივ კურიკულუმებში შეტანილ იქნას ყველა ის რესურსი, რასაც იყენებენ პედაგოგები სასწავლო პროცესში და ყურადღება მიექცეს სხვადასხვა ტიპის შინაარსის მრავალფეროვანი სასწავლო რესურსის გამოყენებას. **უცხოური ენები:** სასურველი იქნება რესურსების მრავალფეროვნებას მიექცეს ყურადღება. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური:** სასურველია, საგნობრივი კათედრების გააქტიურება, პედაგოგთა ურთიერთთანამშრომლობისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით
ინდიკატორი N 2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	**უცხოური ენები:** სასურველია, კათედრამ შეიმუშავოს დამხმარე რესურსის ვალიდაციის ფორმა, რომელიც განსაზღვრავს დამხმარე სასწავლო რესურსის საგნობრივ და ეთიკურ მიზანშეწონილობასა და ასაკისათვის შესაბამისობას.
სტანდარტი N2	***სასკოლო კურიკულუმი*** **(საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)**	***რჩევა***
ინდიკატორი N 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენ მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** სასურველია, სკოლამ მოსწავლეებს შეთავაზოს უფრო მრავალფეროვანი შემოქმედებით დავალებები, რითაც მოზარდები უფრო მეტი სასწავლო უნარის წარმოჩენასა და განვითარებას შეძლებენ. **სახელმწიფო ენა:** გამოცდილების გაზიარების შემთხვევაში, ნათლად გამოკვეთონ საკუთარი ვარიაციები. **მათემატიკა:**

		სასურველია, დაემატოს შემოქმედებითი ტიპის დავალებები და მიეთითოს მეტი რესურსი. **სპორტი:** სამომავლოდ სასურველი იქნება, მეტი თემა იყოს ინდივიდუალური სპორტის სახეობის მიმართულებითაც.
ინდიკატორი N2.1.2..2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** სასურველია, შემოქმედებითი შუალედური სასწავლო მიზნის პროდუქტის უფრო გამრავალფეროვნება. **საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია, ახალი სასაწავლო წლის საგნობრივი კურიკულუმების შემუშავების დროს, საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფში შემავალ საგნების კურიკულუმში, ყველა თემის ფარგლებში წარმოდგენილი იქნას შუალედური მიზანი -შემოქმედებითი პროდუქტის სახით, რადგან ეროვნულ სასწავლო გეგმაში სასწავლო პროცესში შუალედური სასწავლო მიზანი განისაზღვრება შემოქმედებით პროდუქტის სახით ,რომლის საშუალებითაც მოსწავლე საგნობრივ საკითხთან/საკითხებთან მიმართებით საკუთარ ცოდნას წარმოაჩენს, რომელიც თავის მხრივ მიემართება გრძელვადიანი მიზნებისკენ. **უცხოური ენები:** **რუსულ ენაში, საბაზო საფეხურზე სკოლას მიეცა რჩევა,** ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების უკეთ შესაბამისობის მიზნით, მე-7 და მე-9 კლასის კურკულუმში გამოკვეთოს და დამუშავდეს ყველა სასწავლო მიზანი (საფეხურის შედეგი და სამიზნე ცნება).
ინდიკატორი N2.1.2..3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიე კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** სასურველია, კურიკულუმში ჩანდეს არა მარტო ელექტრონული რესურსების ჩამონათვალი და სახელმძღვანელოს გვერდები, არამედ ლაბორატორიული ხელსაწყოები, ან ვირტუალური ლაბორატორიის შესაბამისი სიმულაციების ბმულები.

		საზოგადოებრივი მეცნიერებები: სასურველია,საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფში შემავალ ყველა საგნის კურიკულუმში გარდა გრიფირებული სახელმძღვანელოსი მითითებული იყოს შესაბამისი თემის, საკითხის ფარგლებში დამატებითი რესურსებიც.მაგ;ანიმაციები,ტელესკოლის გაკვეთილები, ვიდეოები და ა.შ.,რაც უფრო მრავალფეროვანს გახდის სასწავლო პროცესს, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრულ სწავლის შედეგების მიღწევას. **უცხოური ენები:** სასურველია, ორივე ენაში და ყველა კურიკულუმში მითითებული იყოს დამხმარე სასწავლო რესურსები. ასევე, სასურველი იქნება რესურსების მრავალფეროვნებას მიექცეს ყურადღება.
ინდიკატორი N 2.1.2..5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია, საზოგადოებრივი მეცნიერებების შემავალმა საგნებმა კათედრებზე ერთობლივად შეიმუშაონ და გამოიყენონ ყველა თემის შესაბამისი, როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. **უცხოური ენები:** სასურველია, შექმნას შუალედური მიზნის შესაბამისი, კონკრეტული შეფასების სქემა. **სახელმწიფო ენა:** შეფასების რუბრიკების რაოდენობა გაზარდონ და გამოიყენონ ყველა განმსაზღვრელი შეფასების დროს, ეფექტიანად გამოიყენონ განმავითარებელი შეფასება დაზუსტების, წახალისებისა და რჩევის კომპონენტების დაცვით.

		მათემატიკა: სასურველია, შექმნან შუალედური მიზნის შესაბამისი, კონკრეტული თემის შესაბამისი შეფასების რუბრიკები სამივე საფეხურზე, ყველა თემასთან დაკავშირებით და გამოიყენონ ყველა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების დროს. **სპორტი:** სამომავლოდ, სასურველი იქნება, შეფასების რუბრიკები შეიქმნას კურიკულუმით გათვალისწინებული სხვა თემების მიხედვითაც.
ინდიკატორი N2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** კარგი იქნებოდა, მეტი დამაჯერებლობისთვის სკოლას წარმოედგინა მოსწავლეთა ნამუშევრები, შემოქმედებითი დავალების პროდუქტები(მოდელები, მაკეტები და სხვ.), რაც მეტ ინფორმაციას მოგვცემდა, თუ როგორ იმუშავა დაგეგმილმა აქტივობებმა და რა შედეგზე გავიდა საბოლოოდ მასწავლებელი. **საზოგადოებრივი მეცნიერებები** - საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფში შემავალ საგნების კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი იყოს სამივე საფეხურზე თითოეული თემის შესასწავლი საკითხის ფარგლებში განსაზღვრული აქტივობები, რომელიც უზრუნველყოფს სწავლის შედეგებს, რადგან ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით სწავლის შედეგი მიღწეულად მიიჩნევა, როცა მოსწავლეს შეუძლია საგნობრივ საკითხთან დაკავშირებული ფაქტებისა და მოვლენების კრიტიკულად და ურთიერთდაკავშირებულად გააზრება, გაანალიზება და სხვადასხვა სიტუაციაში გამოყენება.ასევე, მომავალი წლისათვის ყველა თემის ფარგლებში შეიტანონ შუალედური სასწავლო მიზანი, რომელიც განისაზღვრება შემოქმედებითი პროდუქტის(კომპლექსური ტიპის დავალება) სახით ,რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეს წარმოაჩინოს საკუთარი ცოდნა საგნობრივ საკითხთან/საკითხებთან მიმართებით. **სახელმწიფო ენა:**

		სასურველია, მომდევნო სასწავლო წლისთვის, თემის ფარგლებში, გაზარდონ შემქმედებითი ტიპის დავალებათა იდეების რაოდენობა, რადგან დაგეგმილზე მეტი სრულდება ზოგიერთ კლასში. **მათემატიკა:** სასურველია, 2025-2026 სასწავლო წლის დაგეგმვისა და შემუშავების დროს გათვალისწინებული და ასახული იქნას მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში მიღებული გამოცდილება და შეიმუშავონ კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია.
ინდიკატორი N2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია, საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ სამივე საფეხურზე შეფასების რუბრიკების შექმნისას მომავალში უფრო მეტად ორიენტირება გააკეთონ გრძელვადიან მიზნებზე და მომავალში ყველა თემის შემაჯამებელ ან შემოქმედებით დავალების რუბრიკებში ყველა სამიზნე ცნების აღქმა-გააზრება შეფასდეს მოცემული საკითხის კონტექსტში. კარგი იქნება თუ საზოგადოებრივი კათედრის წარმომადგენლები ინტენსიურად იმუშავებენ შეფასების სისტემის გადამუშავებაზე და შექმნიან უფრო მეტ კონკრეტულ დავალებაზე მორგებულ შეფასების რუბრიკებს.
ინდიკატორი N2.2.1.4	სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი	სასურველია, ასევე გამოყენებულ იყოს მოსწავლეთა ურთიერთშეფასებაც.
ინდიკატორი N 2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითად და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია, სამივე საფეხურზე საგნობრივ კურიკულუმებში შეტანილ იქნას ყველა ის რესურსი ,რასაც იყენებენ პედაგოგები სასწავლო პროცესში და ყურადღება მიექცეს სხვადასხვა ტიპის შინაარსის მრავალფეროვანი სასწავლო რესურსის გამოყენებას.

		უცხოური ენები: სასურველი იქნება, რესურსების მრავალფეროვნებას მიექცეს ყურადღება.
ინდიკატორი N 2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	**უცხოური ენები:** სასურველია, კათედრამ შეიმუშავოს დამხმარე რესურსის ვალიდაციის ფორმა, რომელიც განსაზღვრავს დამხმარე სასწავლო რესურსის საგნობრივ და ეთიკურ მიზანშეწონილობასა და ასაკისათვის შესაბამისობას.
სტანდარტი N2	***სასკოლო კურიკულუმი*** **(საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)**	***რჩევა***
ინდიკატორი N 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენ მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** სასურველია, სკოლამ მოსწავლეებს შეთავაზოს უფრო მრავალფეროვანი შემოქმედებით დავალებები, რითაც მოზარდები უფრო მეტი სასწავლო უნარის წარმოჩენასა და განვითარებას შეძლებენ. **სახელმწიფო ენა:** გამოცდილების გაზიარების შემთხვევაში, ნათლად გამოკვეთონ საკუთარი ვარიაციები. **მათემატიკა:** სასურველია, დაემატოს შემოქმედებითი ტიპის დავალებები და მიეთითოს მეტი რესურსი. **სპორტი:**

		სამომავლოდ სასურველი იქნება, მეტი თემა იყოს ინდივიდუალური სპორტის სახეობის მიმართულებითაც.
ინდიკატორი N2.1.2..2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** სასურველია, შემოქმედებითი შუალედური სასწავლო მიზნის პროდუქტის უფრო გამრავალფეროვნება. **საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია, ახალი სასაწავლო წლის საგნობრივი კურიკულუმების შემუშავების დროს, საზოგადეობრივი მეცნიერებების ჯგუფში შემავალ საგნების კურიკულუმში, სამივე საფეხურზე, ყველა თემის ფარგლებში, წარმოდგენილ იქნას შუალედური მიზანი შემოქმედებითი პროდუქტის სახით, რადგან ეროვნულ სასწავლო გეგმაში სასწავლო პროცესში შუალედური სასწავლო მიზანი განისაზღვრება შემოქმედებით პროდუქტის სახით, რომლის საშუალებითაც მოსწავლე საგნობრივ საკითხთან/საკითხებთან მიმართებით საკუთარ ცოდნას წარმოაჩენს, რომელიც თავის მხრივ მიემართება გრძელვადიანი მიზნებისკენ. მე-12 კლასის გეოგრაფიის საგნობრივ კურიკულუმში მოხდეს მოდიფიცირება შემოქმედებითი დავალების იდეის.
ინდიკატორი N2.1.2..3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიე კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** სასურველია, კურიკულუმში ჩანდეს არა მარტო ელექტრონული რესურსების ჩამონათვალი და სახელმძღვანელოს გვერდები, არამედ ლაბორატორიული ხელსაწყოები, ან ვირტუალური ლაბორატორიის შესაბამისი სიმულაციების ბმულები. **საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია, საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფში შემავალ ყველა საგნის კურიკულუმში გარდა გრიფირებული სახელმძღვანელოსი მითითებული იყოს შესაბამისი თემის, საკითხის

		ფარგლებში დამატებითი რესურსებიც.მაგ;ანიმაციები,ტელესკოლის გაკვეთილები, ვიდეოები და ა.შ.,რაც უფრო მრავალფეროვანს გახდის სასწავლო პროცესს, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრულ სწავლის შედეგების მიღწევას. **უცხოური ენები:** სასურველია, ორივე ენაში და ყველა კურიკულუმში მითითებული იყოს დამხმარე სასწავლო რესურსები. ასევე, სასურველი იქნება რესურსების მრავალფეროვნებას მიექცეს ყურადღება.
ინდიკატორი N 2.1.2..5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია, საზოგადოებრივი მეცნიერებების შემავალმა საგნებმა კათედრებზე ერთობლივად შეიმუშაონ და გამოიყენონ ყველა თემის შესაბამისი, როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. **უცხოური ენები:** სასურველია, შეიქმნას შუალედური მიზნის შესაბამისი, კონკრეტული შეფასების სქემა. **სახელმწიფო ენა:** სასურველია, შეფასების რუბრიკების რაოდენობა გაიზარდოს და გამოიყენონ ყველა განმსაზღვრელი შეფასების დროს, ეფექტიანად გამოიყენონ განმავითარებელი შეფასება დაზუსტების, წახალისებისა და რჩევის კომპონენტების დაცვით. **მათემატიკა**: სასურველია, შექმნან შუალედური მიზნის შესაბამისი, კონკრეტული თემის შესაბამისი შეფასების რუბრიკები სამივე საფეხურზე, ყველა თემასთან დაკავშირებით და გამოიყენონ ყველა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების დროს.

		სპორტი: სამომავლოდ, სასურველი იქნება, შეფასების რუბრიკები შეიქმნას კურიკულუმით გათვალისწინებული სხვა თემების მიხედვითაც.
ინდიკატორი N2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** სასურველი იქნებოდა, მეტი დამაჯერებლობისთვის სკოლას წარმოედგინა მოსწავლეათა ნამუშევრები, შემოქმედებითი დავალების პროდუქტები(მოდელები, მაკეტები და სხვ.), რაც მეტ ინფორმაციას მოგვცემდა, თუ როგორ იმუშავა დაგეგმილმა აქტივობებმა და რა შედეგზე გავიდა საბოლოოდ მასწავლებელი. **საზოგადოებრივი მეცნიერებები**: სასურველია, საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფში შემავალ საგნების კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი იყოს სამივე საფეხურზე თითოეული თემის შესასწავლი საკითხის ფარგლებში განსაზღვრული აქტივობები, რომელიც უზრუნველყოფს სწავლის შედეგებს, რადგან ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით სწავლის შედეგი მიღწეულად მიიჩნევა, როცა მოსწავლეს შეუძლია საგნობრივ საკითხთან დაკავშირებული ფაქტებისა და მოვლენების კრიტიკულად და ურთიერთდაკავშირებულად გააზრება, გაანალიზება და სხვადასხვა სიტუაციაში გამოყენება.ასევე, მომავალი წლისათვის ყველა თემის ფარგლებში შეიტანონ შუალედური სასწავლო მიზანი, რომელიც განისაზღვრება შემოქმედებითი პროდუქტის (კომპლექსური ტიპის დავალება) სახით ,რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეს წარმოაჩინოს საკუთარი ცოდნა საგნობრივ საკითხთან/საკითხებთან მიმართებით. **სახელმწიფო ენა:**

		სასურველია, მომდევნო სასწავლო წლისთვის, თემის ფარგლებში, გაზარდონ შემქმედებითი ტიპის დავალებათა იდეების რაოდენობა, რადგან დაგეგმილზე მეტი სრულდება ზოგიერთ კლასში. **მათემატიკა:** სასურველია, 2025-2026 სასწავლო წლის დაგეგმვისა და შემუშავების დროს, სამივე საფეხურზზე, გათვალისწინებული და ასახული იქნას მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში მიღებული გამოცდილება და შეიმუშავონ კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია.
ინდიკატორი N2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია, საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ, სამივე საფეხურზე შეფასების რუბრიკების შექმნისას მომავალში უფრო მეტად ორიენტირება გააკეთონ გრძელვადიან მიზნებზე და მომავალში ყველა თემის შემაჯამებელ ან შემოქმედებით დავალების რუბრიკებში ყველა სამიზნე ცნების აღქმა-გააზრება შეფასდეს მოცემული საკითხის კონტექსტში. კარგი იქნება თუ საზოგადოებრივი კათედრის წარმომადგენლები ინტენსიურად იმუშავებენ შეფასების სისტემის გადამუშავებაზე და შექმნიან უფრო მეტ კონკრეტულ დავალებაზე მორგებულ შეფასების რუბრიკებს.
ინდიკატორი N2.2.1.4	სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი	სასურველია ასევე გამოყენებულ იყოს მოსწავლეთა ურთიერთშეფასებაც.
ინდიკატორი N 2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითად და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია, სამივე საფეხურზე საგნობრივ კურიკულუმებში შეტანილ იქნას ყველა ის რესურსი ,რასაც იყენებენ პედაგოგები სასწავლო პროცესში და ყურადღება მიექცეს სხვადასხვა ტიპის შინაარსის მრავალფეროვანი სასწავლო რესურსის გამოყენებას. **უცხოური ენები:** სასურველი იქნება, რესურსების მრავალფეროვნებას მიექცეს ყურადღება.

ინდიკატორი N 2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	**უცხოური ენები:** სასურველია, კათედრამ შეიმუშავოს დამხმარე რესურსის ვალიდაციის ფორმა, რომელიც განსაზღვრავს დამხმარე სასწავლო რესურსის საგნობრივ და ეთიკურ მიზანშეწონილობასა და ასაკისათვის შესაბამისობას.
ინდიკატორი N2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** სასურველია, სკოლამ უფრო მეტად იმუშაოს საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთათვის ფიზიკისა და ქიმიის ლაბორატორიის საჭირო ინვენტარითა და რესურსებით აღჭურვაზე, რათა მოსწავლეებს განუვითარდეს კვლევითი უნარ-ჩვევები.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სკოლამ სრულად გაიზიარა ექსპერტების დასკვნის პროექტში ასახული ფაქტობრივი გარემოებები. დაწესებულებამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ინდიკატორების მიხედვით გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები, საჭირო რესურსები და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ N1.2.1.3, N1.2.1.4, N3.1.2.1, N3.1.2.3, N3.1.2.4, N3.4.1.2, N3.5.1.3, N2.1.2..4, N2.1.2..5, N2.2.1.3, N2.2.2.3 და N2.2.2.4 ინდიკატორები, რომელიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც ,,არ შეესაბამება", ექსპერტების მხრიდან შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისი", ვინაიდან, სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგინდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს ცვლილებებს შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადების (არაუმეტეს 12 თვე) მიხედვით; ხოლო ინდიკატორები N3.4.1.1 და N3.5.1.4 შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შესაბამისი", ვინაიდან, სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგინდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს ცვლილებებს შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადების (არაუმეტეს 24 თვე)

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლის მისია ხედვა და ღირებულებები, რომლებიც წარმოდგენილია სკოლის შვიდწლიანი სტრტეგიული განვითარების გეგმით და სასკოლო სასწავლო გეგმით, შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლა, მისიითა და ხედვით, ორიენტირებულია ხელი შეუწყოს მოსწავლეთა სოციალურ და ემოციურ თვითდამკვიდრებას; იმ შესაძლებლობების და უნარების განვითარებას, რომლებიც ხელს შეუწყობს კონკურენტუნარიანი, თავისუფალი, პროფესიონალი და ტოლერანტი პიროვნების ჩამოყალიბებას.

სკოლისთვის მნიშვნელოვანია იმ ღირებულებების დამკვიდრება, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქედ ჩამოყალიბებას, რომელიც პატივს სცემს კულტურულ მრავალფეროვნებას და ორინეტირებულია ტოლერანტული ფასეულობების პატივისცემაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, როგორც სასკოლოს სასწავლო გეგმისა და სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის ნაწილი, 2024 წლის 07 სექტემბერს განხილულია პედაგოგიური საბჭოს მიერ და 2024 წლის 8 სექტემბერს დამტკიცებულია სამეურვეოს საბჭოს მიერ.

ვინაიდან სკოლა მცირეკონტიგენტიანია - სწავლობს 20 მოსწავლე, დასაქმებული პერსონალის რაოდენობა არის 25, პედაგოგიური საბჭოს და სამეურვეო საბჭოს მიერ სკოლის ფილოსოფიის განხილვით, უზრუნველყოფილია სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება სასკოლო საზოგადოების ჩართულობით.

2025 წლის 16 ივნისს, სკოლაში დირექტორის ბრძანებით, დამტკიცებულია სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც გათვალისწინებულია სკოლის ფილოსოფიის რევიზიის შესაძლებლობა და პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა.

სკოლას მიეცა რჩევა:

ფილოსოფიის რევიზია განხორციელდეს მეთოდოლოგიის შესაბამისად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

1. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, როგორც სასკოლოს სასწავლო გეგმისა და სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის ნაწილი, 2024 წლის 07 სექტემბერს განხილულია პედაგოგიური საბჭოს მიერ და 2024 წლის 8 სექტემბერს დამტკიცებულია სამეურვეოს საბჭოს მიერ.

ვინაიდან სკოლა მცირეკონტიგენტიანია - სწავლობს 20 მოსწავლე, დასაქმებული პერსონალის რაოდენობა არის 25, პედაგოგიური საბჭოს და სამეურვეო საბჭოს მიერ სკოლის ფილოსოფიის განხილვა მიუთითებს, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

სკოლას მიეცა რჩევა:

ფილოსოფიის რევიზიის დროს სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების სასკოლო საზოგადოებასთან გაზიარება განხორციელდეს მეთოდოლოგიის შესაბამისად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია სკოლის ვებ გვერდზე, სკოლის გვერდზე სოციალურ ქსელში, სკოლის შენობაში საჯარო ინფორმაციისთვის განკუთვნილ დაფაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სახელწოდება შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა*
- *სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლაში შემუშავებული და დამტკიცებულია მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომლის თანახმად სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი იწყება ინფორმაციის შეგროვებით. ინფორმაციის მიღება ხდება სასკოლო საზოგადოების წევრებისგან. მეთოდოლოგიის თანახმად, სკოლა სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში იყენებს SWOT ანალიზს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია შვიდი სტრატეგიული მიზანი:

- სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება;
- ადამიანური რესურსის განვითარება;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;
- უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა;
- სასკოლო საზოგადოების ჩართულობა;
- მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება;
- ორგანიზაციული განვითარება.

სტრატეგიული განვითარების გეგმა ეფუძნება სკოლის ფილოსოფიას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლამ წარმოადგინა 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა. გეგმაში ვადები არ არის ნათლად განსაზღრული, არ იკვეთება, რომ გათვლილია ერთ წელზე.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად, უზრუნველყოფს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებას.

შესრულების ვადა - 08.09.2025

სკოლას მიეცა რჩევა - მიზანშეწონილია, სამოქმედო გეგმა შემუშავდეს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია მეტწილად

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

ერთწლიან სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები. არ არის განსაზღვრული შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად, ერთწლიან სამოქმედო გეგმაში განისაზღვრავს შესრულების გაზომვად ინდიკატორებს და რესურსებს, რომელთა უზრუნველყოფა რეალისტური იქნება.

შესრულების ვადა - 08.09.2025

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია მეტწილად

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია*
- *სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა*
- *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა*

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიით გათვალისწინებულია მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები. სკოლამ უნდა განახორციელოს სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება წელიწადში ორჯერ - იანვარსა და ივნისში. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც. აღნიშნულ პროცესს კოორდინაციას უწევს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე. სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, მისი განხოცრილების შუაში და ბოლოს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლაში მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია დამტკიცებულია 2025 წლის 16 ივნისს. მეთოდოლოგიით გათვალისწინებული ვადები ჯერ არ არის დამდგარი. შესაბამისად, სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასება სკოლაში არ განხორციელებულა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმები სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებულია 2024 წლის 8 სექტემბერს. შესაბამისად, განახორცილების პროცესი მიმდინარეა და შედეგი ჯერ არ დამდგარა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმები სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებულია 2024 წლის 8 სექტემბერს შესაბამისად, განახორციელების პროცესი მიმდინარეა და შედეგი ჯერ არ დამდგარა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა
3.1. პერსონალის მართვა
3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

2025 წლის 10 ივლისის N01-02/27 ბრძანებით, განსაზღვრულია სკოლაში დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი ინსტრუქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. სკოლის სტრუქტურული ერთეულები - პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, სკოლის დირექცია და მოსწავლეთა თვითმმართველობა თავის საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული დოკუმენტით მკაფიოდაა განსაზღვრული სკოლაში დასაქმებულ პირთა ფუნქცია-მოვალეობები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლამ წარმოადგინა საშტატო განრიგი და განრიგით გათვალისწინებული თანამდებობების შესაბამისი სამუშაო აღწერილობები, შრომითი ხელშეკრულებები, სადაც მკაფიოდაა აღწერილი დასაქმებული პირების ფუნქციები. დასაქმებულები აცნობიერებენ საკუთარ სამსახურეობრივ პასუხისმგებლობას, ანგარიშვალდებულების სისტემა საშუალებას აძლევს დირექციას მიიღოს ინფორმაცია პერსონალის საქმიანობაზე და უზრუნველყოს პროცესების მართვა. პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *2025 წლის 10 ივლისის N01-02/27 ბრძანება*
- *სკოლის საშტატო განრიგი*

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლაში შემუშავებული და დამტკიცებულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომლის თანახმად, ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგია ეფუძნება დაწესებულების სტრატეგიას და წარმოადგენს იმ მიზანთა ერთობლიობას, რომელთა მიღწევა სურს დაწესებულებას საკადრო მიმართულებით და ამ მიზნების მისაღწევად შესასრულებელ კონკრეტულ ამოცანებს.

პოლიტიკის ამოცანებია: დაწესებულების სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების მიღწევის ხელშეწყობა; დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალური წარმოჩენა და რეალიზება; დასაქმებული პირების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.

სკოლის შინაგანაწესით განისაზღვრება სამუშაოს დაწყებისა და დასრულების დრო, დასვენების ხანგრძლივობა, შვებულების მიცემის წესი. სკოლის შინაგანაწესი საჯაროა და გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრულია დამსაქმებლის და დასაქმებულის პასუხისმგებლობები და მოვალეობები. სკოლის შინაგანაწესი ხელშეკრულების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია. ხელშეკრულების ხელმოწერით, დასაქმებული ადასტურებს შინაგანაწესის გაცნობის ფაქტს.

ვიზიტის დროს, შემოწმდა სკოლის პერსონალის პირადი საქმეები. გამოიკვეთა დოკუმენტაციის სრულყოფის საჭიროება:

- **მასწავლებლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები ზოგიერთ შემთხვევაში არ შეესაბამა მოქმედ კანონმდებლობას (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №174/ნ. მუხლი 11[1]) - არ არის მითითებული დასაქმებული პედაგოგის სტატუსი.**

- **წამყვანი მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციები, არ შეესაბამება კანონმდებლობით (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №174/ნ. მუხლი 11[1]) დადგენილ მოთხოვნებს.**

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად, მასწავლებლებთან გაფორმდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებები.

შესრულების ვადა - 19.09.2025

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია მეტწილად

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

ადამინური რესურსების მართვის პოლიტიკის თანახმად, სკოლა სისტემატურად აწარმოებს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას, რაც უზრუნველყოფს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე, დაწესებულება გეგმავს და ახორციელებს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესს.

სკოლაში ცხადდება კონკურსი როგორც ვაკანტურ, ასევე იმ პოზიციაზე, რომელიც კონკურსის გამოცხადების მომენტისათვის არ არის ვაკანტური, მაგრამ არსებობს დადასტურებული საფუძველი, რომ კონკურსის დასრულებამდე გახდება ვაკანტური.

მიმდინარე ეტაპზე, სკოლაში დასაქმებულია:

- უსტატუსო პედაგოგი, რომელსაც, მოქმედი კანონმდებლობის (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №174/ნ. მუხლი 13) თანახმად, აქვს ვალდებულება მასწავლებლად მუშაობის დაწყებიდან 2 წლის ვადაში ჩააბაროს საგნის გამოცდა და გაიაროს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დისტანციური კურსი.

- სკოლაში დასაქმებული პრაქტიკოსის სტატუსის მქონე სპეციალური პედაგოგი, რომელსაც, მოქმედი კანონმდებლობის (საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ მუხლი 61[3]) თანახმად, აქვს ვალდებულება სპეციალური მასწავლებლის გამოცდა ჩააბაროს აღნიშნულ პოზიციაზე მუშაობის დაწყებიდან 2 წლის ვადაში, არაუგვიანეს 2026 წლის 1 იანვრისა.

პედაგოგებთან და სკოლის დირექტორთან გასაუბრებით, გამოიკვეთა, რომ მიმდინარე წელს პედაგოგები არ აბარებენ კანონმდებლობით განსაზღვრულ გამოცდას.

სკოლას მიეცა რჩევა:

განსაზღვროს აქტივობები, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვის შესაძლებლობას, აღნიშნული კადრების მიერ კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით განსაზღვრულია პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები. სკოლა კონკურსს აცხადებს როგორც ვაკანტურ, ასევე იმ პოზიციაზე, რომელიც კონკურსის გამოცხადების მომენტისთვის არ არის ვაკანტური, მაგრამ არსებობს საფუძველი, რომ აღნიშნული პოზიცია კონკურსის დასრულებამდე გახდება ვაკანტური. წარმოდგენილი დოკუმენტაციით ჩანს, რომ პერსონალის შერჩევა ხდება ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით.

ვიზიტის დროს, შემოწმდა სკოლის პერსონალის პირადი საქმეები. **სკოლაში დასაქმებულ პირთა პირად საქმეებში, სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი ზოგადი განათლების შესახებ კანონითა და მთავრობის *N463* დადგენილების შესაბამისი ცნობები. (უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა, სავალდებულოა, მხოლოდ 2020 წლის შემდეგ დასაქმებულ პირთათვის).**

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად, უზრუნველყოფს სკოლაში დასაქმებულ პირთა პირადი საქმეებში კანონმდებლობით გათვალისწინებული ცნობების წარმოდგენას.

შესრულების ვადა - 01.11.2025

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია მეტწილად

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

2025 წლის 10 ივლისის N01-02/27 ბრძნებით, სკოლაში განსაზღვრულია სკოლაში დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი ინსტრუქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. დირექციისა და ადმინისტრაციის პერსონალის, ასევე შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

სკოლის აკადემიურ პერსონალთან მიმართებით, იკვეთება შეუსაბამობა - **ტექნოლოგიების მასწავლების კვალიფიკაცია არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას („მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის №241 დადგენილება მუხლი 37) ინფორმაციულ ტექნოლოგიებს ასწავლის უფროსი მასწავლებლის სტატუსის მქონე დაწყებითების მასწავლებელი და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელი.**

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად, სკოლაში დასაქმდება ტექნოლოგიების მასწავლებელი, რომლის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

შესრულების ვადა - 11.08.2026

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია მეტწილად

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით ჩანს, რომ სკოლაში გადაწყვეტილებები მიიღება სტრუქტურული ერთეულების ჩართულობით. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია უზრუნველყოფს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების და კურიკულემების შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობას. სკოლაში არის კოლეგიური სტრუქტურული ერთეული პედაგოგიური საბჭო, საგნობრივი კათედრები, რომელთა მიერ გადაწყვეტილებები მიიღება ხმათა უმრავლესობით. სასკოლო საზოგადოების ჩართულობის გაძლიერება სკოლის ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანია, რაც მოიცავს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის გაზრდას, მართვის კოლეგიური ორგანოების გააქტიურებას. 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია მშობელთა ჩართულობის ხელშეწყობა, რაზეც პასუხისმგებლობა ეკისრება დირექტორს, დამრიგებელს, მასწავლებელს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლის შინაგანაწესის მე -10 მუხლის თანახმად, პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები:

ა) მადლობის გამოცხადება;
ბ) სიგელით დაჯილდოება;
გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;
დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა;
ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა.

კათედრის ფუნქციაა კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ადამიანური რესურსების მართვის პოლიტკა*
- *შინაგანაწესი*
- *2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის თანახმად, დაწესებულებამ სისტემატურად უნდა აწარმოოს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას, რაც უზრუნველყოფს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას. შეფასების პროცესისი ძირითადი ეტაპებია - დაგეგმვა, თვითშეფასება, გასაუბრება, საბოლოო შეფასება.

დირქტორის ბრძანებით, სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის ფუნქციაა მასწავლებელთა შიდა შეფასება, მასწავლებელთა საქმიანობაზე, მათ შორის საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, შეფასება და განამავითარებელი უკუკავშირის მიცემა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის თანახმად, შეფასება განიხილება როგორც კონსტრუქციული უკუკავშირი განვითარებისთვის - შეფასება და უკუკავშირი დაფუძნებულია კოლეგების მხარდაჭერასა და გუნდურ მუშაობაზე, მიზნობრივ დაგეგმვასა და პროცესების მონიტორინგსა და რეფლექსიაზე. სასკოლო საზოგადოების წევრებს აქვთ დამოუკიდებელი მოქმედების თავისუფლება, შესაძლებლობა, რომ დაგეგმონ, განახორციელონ ინოვაციური ხედვები. შეფასება კი

ორიენტირებულია სისტემურ, დიფერენცირებულ ანალიზზე, ნაცვლად პასუხისა რა არის სწორი და რა არის არასწორი; შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე დაწესებულებამ უნდა დაგეგმოს და გაახორციელოს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის დასტურდება, რომ საჭიროების მიხედვით, სკოლა პერსონალს უზრუნველყოფს ტრენინგებით. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის თანახმად, კარიერული წინსვლა ნებაყოფლობითია, თანაბრად ხელმისაწვდომია და დამოკიდებულია კონკრეტული მასწავლებლის სურვილზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

დირექტორის ბრძანებით, სკოლაში დამტკიცებულია პერსონალის ადაპტაციის წესი, რომლის თანახმად, ახალი თანამშრომლის ადაპტაციაზე ძირითადი პასუხისმგებლობა ეკისრება დირექციისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს. აქტივობები სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის მიმართულებით, პერსონალის შერჩევისთანავე იწყება სკოლის შინაგანწესის გაცნობით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია დაწესებულების მიერ. ინიციატივები შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად ან ზეპირსიტყვიერად, პერსონალის მხრიდან. დასაქმებულის თანხმობით, უზრუნველყოფილია მისი მონაწილეობა პროფესიული და კარიერული განვითარების მიზნით ჩატარებულ ტრენინგებსა თუ სამუშაო შეხვედრებში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა*
- *პერსონალის ადაპტაციის წესი*
- *ტრენინგების გავლის დამადასტურებელი დოკუმენტაცია*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლაში შემუშვებული და დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, რომლის თანახმად ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა პროცესებზეა დაფუძნებული. პროცესები იყოფა მმართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესებად. ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი შედგება შემდეგი ქვეპროცესებისაგან - სკოლის პროცესებთან/კურიკულუმებთან დაკავშირებული რისკების შეფასება; პროცესების/კურიკულუმების შემოწმების წლიური სამოქმედო გეგმის შედგენა; გ) შემოწმების განხორციელება; დასკვნის შედგენა და უკუკავშირი; რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის განხორციელება.

2025 წლის 11 ივლისის N01-02/34 ბრძანებით, სკოლაში განსაზღვრულია ხარისხის მართვაზე პასუხისმგებელი პირი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დუკუმენტით იდენტიფიცირებული და აღწერილია საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები.

1. **სკოლის მმართველობითი პროცესებია:**

ა) სტრატეგიული დაგეგმვა;
ბ) წლიური დაგეგმვა;
გ) ხარისხის უზრუნველყოფა;

2. **სკოლის ძირითადი პროცესებია:**

ა) კურიკულუმის განვითარება;
ბ) სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა;

3. **სკოლის დამხმარე პროცესებია:**

ა) განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება;
ბ) მოსწავლის სერვისების განხორციელება;
გ) საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება;

დ) ფინანსური რესურსებს მართვა;
ე) ადამიანური რესურსების მართვა;
ვ) მატერიალური რესურსის მართვა;
ზ) უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა;
თ) საზოგადოებასთან ურთიერთობა;
ი) საქმისწარმოება (დოკუმენტბრუნვა);
კ) კარიერული განვითარება;

შემუშავებულია საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების მარეგულირებელი დოკუმენტები. სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, მოქმედ შინაგანაწესში გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმები. სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, ბიბლიოთეკის დებულება. მშობლებთან კომუნიკაციის წესი. მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა

სკოლის შინაგანაწესის 22-ე მუხლით განსაზღვრულია განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი. ასევე შემუშვებული და დამტკიცებულია მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი, რომლითაც განსაზღრულია თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა

ინდიკატორი დაკმაყოფიფილებულია

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

სკოლაში პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით. კლასის დამრიგებელი ვალდებულია, სასწავლო წლის დაწყებისას შინაგანაწესი გააცნოს მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს. შინაგანაწესში განხორციელებული ცვლილების გაცნობა უნდა მოხდეს არაუგვიანეს 5 დღისა. ასევე შემუშვებული და დამტკიცებულია მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების წარმომადგენელთა უფლებების დაცვის მექანიზმებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა*
- *შინაგანაწესი*
- *მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი*
- *შვიდწლიანი სტრატეგიული გავნითრების გეგმა*
- *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა*
- *ბიბლიოთეკის დებულება*
- *მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი*

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლაში შემუშავებულია მშობლებთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი, რომლის თანახმად, სკოლის საქმიანობისა და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შესახებ ინფორმაცია მშობელს მიეწოდება მშობელთა კრებებზე კლასის

დამრიგებლის მეშვეობით; თითოეულ კლასში მშობელთა სავალდებულო კრება ტარდება სასწავლო წლის დასაწყისში და ყოველი სემესტრის ბოლოს.

კლასის დამრიგებლებს აქვთ ვალდებულება, შინაგანაწესი გააცნოს მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს. შინაგანაწესში განხორციელებული ცვლილების გაცნობა უნდა მოხდეს არაუგვიანეს 5 დღისა.

სკოლა მცირეკონტიგენიტიანია. სწავლობს 20 მოსწავლე და დასაქმებულია 25 პირი. დირექციის განცხადებით, დამკვიდრებული პრაქტიკაა სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან პირდაპირი და უშუალო კომუნიკაცია.

თუმცა რეგულარულად ტარდება პედაგოგური საბჭოს, სამეურვეო საბჭოს სხდომები, რაც უზურნველყოფს მიმდინარე საკითხების განხილვისა და უკუკავშირის მიღების შესაძლებლობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლაში ფუნქციონირებს სამურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, რომლებიც შედგება თანაბარი რაოდენობის მშობლებისა და პედაგოგებისგან, მოსწავლეთა თვითმმართველობასაც ჰყავს საკუთარი წარმომადგენელი სამეურვეო საბჭოში, სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელშიც სხვა წევრებთან ერთად წარმოდგენილია მოსწავლე, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ჩართვას სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალის საჯარო სკოლის მშობელთან ურთიერთობის დებულება*
- *შინაგანაწესი*
- *სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმები*
- *პედაგოგიური საბჭოს სხდომობის ოქმები*
- *მშობლებთან კომუნიკაციის წესი*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)**

სკოლას არ ჰყავს მანდატური. დირექტორის 2019 წლის 30 სექტემბრის N01-02/40 ბრძანებით, განსაზღვრულია სკოლის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. ყოველდღიურ სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელობა, დირექციასთან ერთად, გადანაწილებული აქვს კლასის დამრიგებლებს, მორიგე მასწავლებლებს. უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ დარაჯები. სკოლა აღჭურვილია ვიდეოსათვალთვალო სისტემით, შემუშავებულია რეფერირების შიდა სამოქმედო ინსტრუქციები და

საევაკუაციო გეგმა (რომელიც განთავსებულია სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილას). სკოლამ წარმოადგინა უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.

- სკოლას არ წარმოუდგენია მანდატურის სამსახურის მიერ, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის გადამზადების დამასტურებული შესაბამისი სერტიფიკატი.

- სკოლას არ აქვს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური.

- სკოლას არ აქვს მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად, უზრუნველყოფს:

- მანდატურის სამსახურის მიერ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის გადამზადებას და შესაბამისი სერტიფიკატის წარმოდგენას.

- უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტურის წარმოდგენას.

- უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ მიმართვის წარმოდგენას.

შესრულების ვადა - 01.09.2027

სკოლას მიეცა რჩევა:

სკოლაში დასაქმდეს კანონმდებლობის შესაბამისი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას

ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც სრულად აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. თუმცა, **სამედიცინო კაბინეტში არ არის შირმა.** შემუშავებული და დამტკიცებულია სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი.

სკოლაში დასაქმებულია ექთანი, რომლის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს. თუმცა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი №41/ნ/01-23/ნ ბრძანების თანახმად, ავტორიზებული სკოლისთვის, ავტორიზაციის გადაწყვეტილებით განსაზღვრული (და არა ფაქტობრივად არსებული) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის შესაბამისად, უნდა განისაზღვროს სამედიცინო პერსონალის რაოდენობა და კატეგორია. აღნიშნული ბრძანების თანახმად, სკოლაში, რომლის მოსწავლეთა ზღვრული ოდენობა არის 50-დან 100 მოსწავლის ჩათვლით, დასაქმებული უნდა იყოს ექიმი. ექიმის საკადრო რესურსის არარსებობის შემთხვევაში, დასაშვებია ჩანაცვლდეს ექთნით. **შესაბამისი ვებ გვერდის (https://teacherjobs.ge) დათვალიერებით იკვეთება, რომ მიმდინარე ეტაპისთვის სკოლას ექიმის პოზიციაზე კონკურსი არ გამოუცხადებია. (2022 წელს კონკურსის წესით შერჩეულია ექთანი).**

გახარჯული მედიკამენტების და სამედიცინო მასალების, ვადაგასული მედიკამენტების და სამედიცინო მასალების, გაწეული სამედიცინო მომსახურების აღრიცხვა არ ხდება კანონმდებლობით დადგენილი ფორმების შესაბამისად.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად, უზრუნველყოფს:

- **სკოლაში სამედიცინო პერსონალის დასაქმებას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.**
- **სამედიცინო კაბინეტის შირმით აღიჭურვას.**
- **გახარჯული მედიკამენტების და სამედიცინო მასალების, ვადაგასული მედიკამენტების და სამედიცინო მასალების გაწეული სამედიცინო მომსახურების აღრიცხვას კანონმდებლობით დადგენილი ფორმების შესაბამისად.**

შესრულების ვადა - 01.09.2026

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია მეტწილად

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

ბრძანებით განსაზღვრული უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლი პირის მიერ კონტროლდება შენობაში უცხო პირთა გადაადგილება. შექმნილია მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი, რომელიც განთავსებულია სამასწავლებლოში, საინფორმაციო დაფაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლის დირექტორის 2024 წლის 25 ივლისის N118 ბრძანებით, დამტკიცებულია „ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია“, რომელიც განსაზღრავს პრობლემის იდენტიფიცირების, საჭიროებების დადგენის და მოსწავლისთვის დახმარების აღმოჩენის მექანიზმს. სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი. წახალისებულია მოსწავლეთა და დასაქმებულ პირთა ინიციატივები, რაც ხელს უწყობს სასკოლო გარემოში ემოციურ და ფსიქოლოგიურ თვითდამკვიდრებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლაში დასაქმებული 2 დამლაგებელი, რომლებიც პასუხისმგებლები არიან სკოლაში სანიტარული-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე. შრომითი ხელშეკრულების თანახმად, სკოლის ექთანი ვალდებულია ზედამხედველობა გაუწიოს სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლაში შემუშავებული და დამატკიცებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა, რომლის თანახმად, მონაცემები მუშავდება სამართლიანად და კანონიერად, მონაცემთა სუბიექტისთვის გამჭვირვალედ და მისი ღირსების შეულახავად; მონაცემები უნდა შეგროვდეს/მოპოვებულ უნდა იქნეს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული და ლეგიტიმური მიზნებისთვის; ინახება იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნის მისაღწევად. იმ მიზნის მიღწევის შემდეგ, რომლისთვისაც მუშავდება მონაცემები, უნდა წაიშალოს, განადგურდეს ან შენახული უნდა იქნეს დეპერსონალიზებული ფორმით. მონაცემები მუშავდება მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი მიზნის მისაღწევად და მისი დამუშავება უნდა იყოს მიზნის პროპორციული; მონაცემები უნდა იყოს ზუსტი, თუმცა საჭიროების შემთხვევაში ექვემდებარება განახლებას/გასწორებას.

შესაბამისი რესურსცენტრის უფროსის ბრძანებით, განსაზღრულია პირი (რესურსცენტრის თანამშრომელი), რომელიც სკოლისთვის უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ფუნქციების განხორციელებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალური ინფორმაციის დაცვის წესი, რომლის თანახმად, სკოლა იცავს მონაცემების კონფიდენციალურობას. მონაცემებზე წვდომა აქვთ მხოლოდ იმ თანამშრომლებს და იმ მოცულობით, რომელთაც მონაცემები სჭირდებათ საკუთარი ფუნქცია-მოვალეობების შესასრულებლად. სკოლის მიერ გამოყენებულ ელექტრონულ სისტემებზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ ინდივიდუალური მომხმარებლის სახელისა და რთული პაროლის საშუალებით. სკოლის თანამშრომლები ინფორმირებულები არიან ინფორმაციის კონფიდენციალურობის შესახებ. მოსწავლეთა და სკოლის თანამშრომელთა პირადი საქმეები შენახულია დაცულ სივრცეში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც განიხილავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს, იმუშავებს რეკომენდაციებს, გეგმავს პრევენციულ ღონისძიებებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა*
- *უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.*
- *სკოლის ვიზუალური დათვალიერება*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა
3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

2100.00 კვ. მ. მიწის ფართობზე განთავსებულია სკოლის შენობა-ნაგებობები - საერთო ფართი - 490.50 კვ.მ. აღნიშნული ფართი სკოლას, უვადო სარგებლობის უფლებით, გადაცემული აქვს ქონების მართვის ეროვნული სააგენტოსაგან. სკოლის ინფრასტრუქტურა დამაკმაყოფილებელია. სკოლაში არის 12 საკლასო ოთახი. სკოლა გაზიფიცირებული არ არის. ზამთრის სეზონზე შენობა თბება შეშის ღუმელით. სკოლას აქვს ღია, ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედანი. სააქტო დარბაზი. ფუნქციონირებს რესურსოთახი, ბიბლიოთეკა, სამედიცინო კაბინეტი, კომპიუტერული ლაბორატორია, ფიზიკის კაბინეტი. სკოლის ეზოს წინა მხარე მოწესრიგებულია. ეზოს უკანა ნაწილი არის ღობის მიღმა, არ არის შემოსაზღვრული და მოწესრიგებული. ეზოს აღნიშნული ნაწილი არ არის მისაწვდომი მოსწავლეებისთვის.

სკოლას მიეცა რჩევა:

ღობით შემოისაზღვროს და მოწესრიგდეს სკოლის ეზოს უკანა მხარე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სასკოლო ინფრასტრუქტურა თანაბრად ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრისთვის. კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობენ, როგორც მოსწავლეები ასევე პედაგოგები. ყველასთვის ხელმისაწვდომია სასკოლო ბიბლიოთეკა, გარე სპორტული მოედანი. სკოლაში შემუშვებულია მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რაც ხელმისაწვდომს ხდის სასკოლო ინფრასტრუქტურას სასკოლო საზოგადოებისთვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლაში შემუშავებული ბიბლიოთეკის დებულება, პასუხობს იმ აუცილებელ წესებს, რომელიც უზრუნველყოფს ბიბლიოთეკის გამართულად მუშაობას. დებულებით გაწერილია ბიბლიოთეკით მოსარგებლე პირების, საბიბლიოთეკო რესურსით სარგებლობის, მისი დაცულობის, სამკითხველო დარბაზში ქცევის წესები. უზრუნველყოფილია ხელმისაწვდომობა

სასკოლო საზოგადეობისთვის. ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია, როგორც გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები, ასევე მხატვრული ლიტერატურა.

ბიბლიოთეკაში წარმოდგენილი წიგნადი ფონდი არ არის დამუშავებული საბიბლიოთეკო სტანდარტის შესაბამისად.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად, უზრუნველყოფს ბიბლიოთეკაში წარმოდგენილი წიგნადი ფონდი დამუშავებას საბიბლიოთეკო სტანდარტის შესაბამისად.

შესრულების ვადა - 01.03.2026

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია მეტწილად

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

თითოეული მოსწავლე სკოლის მიერ უზრუნველყოფილია ინდივიდუალური სასწავლო ინვენტარით - გამოყოფილია ინდივიდუალური მერხი და სკამი, სასწავლო წიგნები. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ხელმისაწვდომობა მატერიალურ რესურსებზე. სკოლის შენობაში შესვლა შესაძლებელია პანდუსით. **არ არის უზრუნველყოფილი ადაპტირებული საპირფარეშო.**

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად, უზრუნველყოფს ადაპტირებული საპირფარეშოს მოწყობას.

შესრულების ვადა - 01.09.2027

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლის ინფრასტრუქტურა სრულად არის ხელმისაწვდომი სასკოლო საზოგადოებისთვის. მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სპორტული, კულტურული, სოციალური და შემეცნებითი აქტივობები. ამ მიზნით სკოლას გააჩნია სააქტო დარბაზი, ღია სპორტული მოედანი, კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, სკოლის ეზო.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ამონაწერი საჯარო რეესტრიდან*
- *ბიბლიოთეკის დებულება*
- *სკოლის ვიზუალური დათვალიერება*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

კომპიუტერით უზრუნველყოფილია სკოლის დირექტორი, საქმისმწარმოებელი, ბუღალტერი, ბიბლიოთეკარი. კომპიუტერი და პრინტერი განთავსებულია სამასწავლებლოში. სკოლაში დამტკიცებულია კომპიუტერული ტექნოლოგიებით სარგებლობის წესი, რომელიც უზრუნველყოფს ადმინისტრაციულ და სასწავლო პროცესში ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობას როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე სკოლაში დასაქმებულ პირთათვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლაში დამტკიცებულია კომპიუტერული ტექნოლოგიებით სარგებლობის წესი, რომელიც უზრუნველყოფს კომპიუტერულ ტენოლოგიებზე წვდომას მოსწავლეებისთვის და მასწავლებლებისთვის. სასკოლო სივრცე მთლიანად დაფარულია WI-FI -ს ქსელით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის ვიზუალური დათვალიერება*
- *ტექნოლოგიებით სარგებლობის წესი*

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

2025 წლის 01 აპრილის N01-01/13 ბრძანებით, სკოლაში დამტკიცებულია საქმისწარმოების წესი. სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის (Eflow) - საშუალებით და მას ახორციელებს საქმისმწარმოებელი, რომელიც უზრუნველყოფს საქმისწარმოების გამართულ მუშაობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლა სარგებლობს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემით - „eflow"; აქვს ოფიციალური ელექტრონული ფოსტა - shuChala@mes.gov.ge. სკოლის მონაცემები ასახულია სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში - Eschool; იყენებს ელექტრონულ ჟურნალს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლას აქვს საკუთარი პროფილი eschool.emis.ge-ზე. საინფორმაციო ბარათში შეყვანილია სხვადასხვა ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, საგანმანათლებლო სტატუსი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის საბანკო რეკვიზიტები. ასახული ინფორმაცია არჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოების თაობაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლის ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის ვიზუალური დათვალიერებით ჩანს, რომ სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის საქმისწარმოების წესი*
- *Eschool -ის ის და Eflow - ვიზუალური დათვალიერება*

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლას აქვს ვებ გვერდი და გვერდი სოციალურ ქსელში. ინფორმაციულად დატვირთულია სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში (facebook). გვერდზე გამოქვეყნებულია ინფორმაცია განხორციელებული და დაგეგმილი სასკოლო აქტივობების, სკოლის მოსწავლეთა და პედაგოგთა, სასკოლო კლუბების წარმატებისა და მიღწევების თაობაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლა მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას ანხორციელებს სოციალური ქსელითა და ვებ გვერდით. ვიზუალური დათვალიერებით, ჩანს, რომ ვებ გვერდზე განთავსებული ინფორმაცია სკოლის საქმიანობის შესახებ და საკონტაქტო ინფორმაცია, არის სანდო და უტყუარი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლა მცირეკონტიგენტიანია. სკოლის დირექტორის განცხადებით, შესაძლებელია და მიღებულია უშუალო და პირადი კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებს შორის. მიღებული უკუკავშირის საფუძველზე, სკოლა ორიენტირებულია საკუთარი საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებაზე.

სკოლაში შემუშვებულია მშობლებთან კომუნიკაციის წესი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს ვებ გვერდი - https://shorturl.at/5zxZq, რომელზეც ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე. სკოლაში სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე.

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლას აქვს ვებ გვერდი - https://shorturl.at/5zxZq რომელზეც განთავსებულია სტანდარტით გათვალისწინებული ინფორმაცია სკოლის შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის ვებ გვერდი*
- *სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში (facebook)*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები
3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლა ფინანსდება ვაუჩერული დაფინანსებით. ძირითადი ფინანსური რესურსი იხარჯება დასაქმებულთა შრომით ანაზღაურებაზე, ასევე მატერიალური რესურსების შესყიდვაზე, სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების უზრუნველყოფა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა

სკოლის ბიუჯეტს ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია შესყიდვების გეგმა. შესყიდვის ფანხორცილების წინ ხდება ბაზარზე არსებული ფასების კვლევა. სკოლის დირექტორი დეკემბერში ანგარიშით წარდგება სამეურვეო საბჭოს წინაშე. კალენდარული წლის ბოლოს შედგენილია ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი.

სკოლაში 2025 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია 2025 წლის მარტში.

სკოლას მიეცა რჩევა:

სასურველია, სკოლამ უზრუნველყოს ბიუჯეტის დამტკიცება წინა წლის ბოლოს — დეკემბერში. რაც ხელს შეუწყობს დროულ შესყიდვებისა და ფინანსური აქტივობების შეუფერხებელ განხორციელებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის ბიუჯეტი*
- *ბაზრის კვლევის ამსახველი დოკუმენტაცია*
- *სამეურვეო საბჭოს სხდომის 2025 წლის 9 მარტის ოქმი*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი შინაგანაწესი, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლეთა უფლება-მოვალეობებს. მოსწავლეთა უფლება-მოვალეობები გაწერილია ხელშეკრულებაში, რომელიც ფორმდება სკოლასა და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს შორის. სკოლაში არსებობს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც ირჩევა დემოკრატიული პრინციპებით.

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენელის უფლებების დაცვის მექანიზმს. დოკუმენტში გაწერილია მოსწავლის და მისი კანონიერი წარმომადგენლის უფლებები, მოსწავლის ან მოსწავლის მეურვის მიერ სკოლის მხრიდან მათი კანონიერი უფლებების დარღვევის გასაჩივრების მექანიზმი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლის შინაგანაწესი, რომელიც საჯარო დოკუმენტია, განთავსებულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე და ხელმისაწვდომია ყველა პირისათვის. თითოეული კლასის დამრიგებელი სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში მოსწავლეებს აცნობს თავიანთ უფლება-მოვალეობებს. სკოლაში, საჯარო ინფორმაციისთვის განკუთვნილ დაფაზე, გამოკრულია 112-ის, სახალხო დამცველის და

განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ცხელი ხაზის ნომრები. სკოლის ყველა მოსწავლის მშობელს/წარმომადგენელს შორის ფორმდება ხელშეკრულებები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება. ხელშეკრულება ძალაშია მოსწავლის სწავლის დასასრულამდე და მასში გაწერილია როგორც მოსწავლის, ისე მშობლის და სკოლის უფლებები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *შინაგანაწესი*
- *მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი*
- *მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება*

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლაში შემუშავებული და დამტკიცებულია მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი, რომლითაც განსაზღრულია აღნიშნული პროცესების განხორციელების კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლის დოკუმენტაციის და eschool- ის ბაზის დათვალიერებით დადასტურდა, რომ სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

შინაგანაწესი, რომელიც საჯარო დოკუმენტია, განთავსებულია სკოლის ვებ გვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა პირისათვის. კლასის დამრიგებელი ვალდებულია, სასწავლო წლის დაწყებისას შინაგანაწესი გააცნოს მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს. შინაგანაწესში განხორციელებული ცვლილების გაცნობა უნდა მოხდეს არაუგვიანეს 5 დღეში. მოსწავლის მშობელს/წარმომადგენელს შორის ფორმდება ხელშეკრულებები.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლის ვებ გვერდისა და სოციალურ ქსელში სკოლის გვერდის დათვალიერებით დასტურდება, რომ სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის შინაგანაწესი*
- *Eschool ში სკოლის პროფილის დათვალიერება*
- *სკოლის ვებ გვერდი*
- *სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში (facebook)*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები
4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლაში შემუშავებული და დამტკიცებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, რომლითაც განსაზღვრულია მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის პრინციპები და მნიშვნელოვანი ფაქტორები. გათვალისწინებული პირველკლასეთა, სსსმ მოსწავლეთა, მობილობით გადმოსული მოსწავლის ადაპტაცია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლაში შემუშვებული მოსწავლეთა ადაპტაციის წესის თანახმად, სკოლას აქვს მზაობა და შესაძლებლობა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელი შეუწყოს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებულია მოსწავლეთათვის სემესტრული გამოცდის ჩაბარების შესაძლებლობა, საშემოდგომო გამოცდის აუცილებლობის შემთხვევაში, მოსწავლეების კონსულტაციებით უზრუნველყოფა. შემაჯამებელი წერის აღდგენა შესაძლებელია სემესტრის დასრულებამდე. სკოლაში სსსმ მოსწავლის ჩარიცხვის შემთხვევაში, სკოლა ქმნის ისგ ჯგუფს, ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლა უწევს ადმინისტრირებას ექსტერნატის ფორმით განათლების მიღებას. ექსტერნის გამოცდებზე დარეგისტრირებულ პირთათვის, სკოლა ადგენს გამოცდების ჩატარების განრიგს, ქმნის საგამოცდო კომისიას და ინფორმაციას აწვდის მშობელს აღნიშნულის შესახებ დამრიგებლების მეშვეობით. სკოლაში სსსმ მოსწავლის ჩარიცხვის შემთხვევაში, სკოლა ქმნის ისგ ჯგუფს, ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლა ხელს უწყებს მოსწავლეთა მონაწილებას სხვადასხვა კონკურსებში. სკოლის მოსწავლეებს აქვთ მიღწევები რაიონისა და და რეგიონის მასშტაბით. წახალისებულია და მხარდაჭერილია მოსწავლეთა ინიციატივები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლა მცირეკონტიგენტიანია. სკოლის დირექტორის განცხადებით, შესაძლებელია და მიღებულია უშუალო და პირადი კომუნიკაცია კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოების წარმომადგნელებს შორის. მიღებული უკუკავშირის საფუძველზე, სკოლა ორიენტირებულია მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესებაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *მოსწავლეთა ადაპტაციის წესი*
- *2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა*

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სკოლაში ხელმისაწვდომია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება. XII კლასის დამრიგებელმა წარმოადგინა მასალები, რომლითაც დასტურდება რომ დამრიგებლის საათის ფარგლებში განიხილებოდა პროფორიენტაციის საკითხი. მიმდინარე წლის აპრილის თვეში, სკოლამ უზრუნველყო XII კლასის მოსწავლეების დასწრება კოლეჯში („ბლექსი“) ორგანიზებულ შეხვედრაზე დასწრება. მოსწავლეებმა დაათვალიერეს კოლეჯი, გაეცნენ კოლეჯში არსებულ პროფესიებს - შემდუღებლობა, ელექტროობა და კულინარია; შესაბამისი ტექნიკური საშუალებები და სწავლების პროცესი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

დირექციის განცხადებით, სკოლას სხვადასხვა პროფესიული და უმაღლესი სასწავლებელი აწვდის ინფორმაციას ღია კარის დღეების შესახებ. სკოლა უზრუნველყოფს აღნიშნული ინფორმაციის დროულ გავრცელებას მოსწავლეებში და ხელს უწყობს მათი ჩართულობის ზრდას დაგეგმილ საგანმანათლებლო ღონისძიებებში.

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

მიმდინარე ეტაპზე, მომსახურების შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმი სკოლაში შემუშავებული არ არის. სკოლის პირველადი ავტორიზაციაა, რის გამოც მოცემული ინდიკატორი ამ ეტაპზე ვერ ფასდება.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *XII კლასის დამრიგებლის სამუშაო ჟურნალი*

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სასკოლო სასწავლო გეგმითა განსაზღრულია სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი - სპეციალური საჭიროების იდენტიფიცირების, ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაციის, ისგ ჯგუფის შედგენის, სსსმ მოსწავლის შეფასების, შინ სწავლებაზე გადაყვანის მექაზნიმები. სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტაცია, რომლითაც დასტურდება, რომ სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშვების მიზნით, დირექტორის ბრძანებით, სკოლაში იქმნება ისგ ჯგუფი, რომლის წევრები არიან კლასის დამრიგებელი, საგნების მასწავლებლები, სკოლაში ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტი/სპეციალისტები, მშობელი. სკოლაში იქმნება ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა; სკოლაში არის რესურსოთახი რომელიც აღჭურვილია საჭირო ინვენტარით და სასწავლო რესურსებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლაში სსსმ მოსწავლის წინსვლის და განვითარების მიზნით დაგეგმილ აქტივობებში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. სსსმ მოსწავლე ფასდება სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის მიერ. სკოლაში იქმნება ისგ ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *ისგ ჯგუფის შექმნის თაობაზე ბრძანება*
- *ინდივიდუალური სასწავლო გეგმა*
- *ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა*

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლაში ხორციელდება მოსწავლეთა ტრანსპორტირება რამდენიმე მიმართულებიდან. მომსახურებას უზრუნველყოფს ადგილობრივი მუნიციპალიტეტი საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დაფინანსებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მშობელთა მოთხოვნის საფუძველზე.

მიმდინარე ეტაპზე, სკოლის მიერ დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების შეთავაზება არ ხდება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლაში ბრძანებით არის განსაზღრული მოსწავლეთა ტრანსპორტირების მონიტორინგზე უფლებამოსილი პირი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა*
- *ინდივიდუალური სასწავლო გეგმა*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **(დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)**	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **(საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)**	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **(საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)**	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

კურიკულუმი ეფუძვნება ეროვნულ სასწავლო გეგმას და მეთოდოლოგიის შემუშავების დროს გათვალისწინებულია მცირეკონტიგენტიანი სკოლისთვის პრიორიტეტული შესაძლებლობები, აქცენტი კეთდება ინდივიდუალურ მუშაობებეზე, აკადემიურ საჭიროებებსა და სწავლის სტილზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

კურიკულუმში ასახულია სამივე საფეხურის მოსწავლეთა ცოდნის და შესაძლებლობების შესაბამისი სასწავლო აქტივობები, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს და მორგებულია მათ საჭიროებებზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

კურიკულუმის შემუშავებაში მასწავლებლებთან ერთად ჩართულია მშობლებიც, რომლების ამავე დროს იმყოფებიან ამავე სკოლის პედაგოგებიც ან მოსწავლეების ოჯახის წევრები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

კურიკულუმი პორტალზე, მშობელთა კრებებზე და კერძო საუბრებში და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისთვის

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სასკოლო სასწავლო გეგმა 2024-2025*
- *სკოლის ფეილბუქ გვერდის ლინკი*
- *მხარდამჭერთა ჯგუფის ოქმი*
- *სკოლის მისია, ხედვა და ღირებულება*
- *დამრიგებლის პორტფოლიო*

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის კურიკულუმი ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებს. კურიკულუმში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი მორგებულია მოსწავლის განვითარებაზე და გათვალისწინებულია მათი საჭიროებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

	რჩევა: სასურველია, სკოლამ სამივე საფეხურზე მოსწავლეებს შეთავაზოს უფრო მრავალფეროვანი შემოქმედებით დავალებები, რითაც მოზარდები უფრო მეტი სასწავლო უნარის წარმოჩენასა და განვითარებას შეძლებენ.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები სამივე საფეხურზე წარმოადგენს 2024-2025 სასწავლო წლისათვის შემუშავებულ კურიკულუმებს, სასწავლო პროცესი წარიმართებოდა მოცემული კურიკულუმების შესაბამისად. ჯგუფში შემავალი ყველა საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებული იქნა საზოგადოებრივ კათედრაზე გრიფირებული სახელმძღვანელოზე დაყრდნობით, ასევე გათვალისწინებული იქნა ესგ-ს და საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნები. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს მათ მიერ განხორციელებულ სასწავლო აქტივობებზე, რომელიც მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით იყო დაგეგმილი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	**ინგლისური / რუსული**: სასწავლო პროცესის ცენტრში დგას მოსწავლე, რაც გამოიხატება დაგეგმილ თემატურ ერთეულში, შუალედურ დავალებებსა და შეფასებებში მოსწავლეებს სთავაზობს ნაცნობ, მათი ასაკობრივი ინტერესების შესაბამის კონტექსტებს, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების (შედეგების, ცნებების, კონკრეტული საკითხების) ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილ სამივე საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში და მასწავლებლებთან გასაუბრებისას ირკვევა, რომ განხორიელებული აქტივობები, ღონისძიებები, კომპლექსური დავალებები ითვალისწინებს მოსწავლის სწავლა-სწავლების აქტიურ პროცესში ჩართვას. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; (კათედრა ხელმძღვანელობს გრიფირებული სახელმძღვანელოებით) მოსწავლეს სთავაზობს ნაცნობ, მათი ასაკობრივი

	ინტერესების შესაბამისს კონტექსტებს, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების (შედეგების, კონკრეტული საკითხების) ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლე, რაც გამოიხატება დაგეგმილ სასწავლო ერთეულებსა და შეფასების ორივე ტიპში. მოსწავლეებისთვის შეთავაზებულია ნაცნობი, მათი ასაკობრივი ინტერესების შესაბამის კონტექსტები, რომლებიც სწავლის შედეგების მიღწევას განაპირობებს. კონტექსტები უკავშირდება ძირითადად ე.წ. სავალდებულო ლიტერატურას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია **რჩევა: სამივე საფეხურზე, გამოცდილების გაზიარების შემთხვევაში, ნათლად გამოკვეთონ საკუთარი ვარიაციები.**
მათემატიკა	სამივე საფეხურის კურიკულუმები დაფუძნებულია ესგ-ს და საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებზე. მათში შეტანილია მოსწავლის ინტერესებზე მორგებული სასწავლო თემები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** **რჩევა: სასურველია, სამივე საფეხურზე, დაემატოს შემოქმედებითი ტიპის დავალებები და მიეთითოს მეტი რესურსი.**
სპორტი	სამივე საფეხურის კურიკულუმები დაფუძნებულია ესგ ს და საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებზე. მათში შეტანილია სასწავლო თემები, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მორგებულია მათ საჭიროებებზე და ხელს შეუწყობს მოზარდის ფიზიკურად განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

	რჩევა: საბაზო და საშუალო საფეხურზე სამომავლოდ სასურველი იქნება მეტი თემა იყოს ინდივიდუალური სპორტის სახეობის მიმართულებითაც.
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივი კურიკულუმები აჩვენებს, რომ სასწავლო პროცესი არის მოსწავლეზე ორიენტირებული, კურიკულუმიდან ჩანს, რომ დაგეგმილი აქტივობებით აქცენტი კეთდება მოსწავლეზე, აღიარებს მოსწავლეს, როგორც სწავლა-სწავლების აქტიურ სუბიექტს და მიმართულია მოსწავლის პიროვნული განვითარების ხელშეწყობისაკენ, სწავლის პროცესს განიხილავს, როგორც ცოდნის აქტიური კონსტრუირების პროცესს, რომელშიც მთავარი წარმმართველი თავად მოსწავლეა. მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად წარმოჩინდა, რომ მასწავლებლებს კომპლექსური დავალებები განხორციელებული აქვთ და მათში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები, საჭიროებები და აგებულია წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** **რჩევა: სასურველია, ყველა კლასის კურიკულუმში განხილული იყოს კომპიუტერული ტექნოლოგიების ყველა სამიზნე ცნება და გამოყენებული ბმულები საჭიროებს გადამოწმებას, რადგან ზოგიერთი მათგანი არ გადადის შესაბამის მისამართზე.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	**დაწყებითი კლასების(I-IV), საგნობრივი კურიკულუმები** წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. შერჩეული კომპლექსური დავალებები მიემართება გრძელვადიან სამიზნე ცნებებს ,გათვალისწინებულია მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებები,საჭიროებები და შესაძლებლობები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმები მორგებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს-სამიზნე ცნებებს და საფეხურის ბოლოს მისაღწევ შედეგებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** **რჩევა: სასურველია სამივე საფეხურზე შემოქმედებითი შუალედური სასწავლო მიზნის პროდუქტის უფრო გამრავალფეროვნება.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე ორიენტირებით. გათვალისწინებულია სავალდებულო თემები. სწავლების პროცესი ეფუძნება ნაცნობ კონტესტებზე დაყრდნობით ცოდნის აგების პრინციპს.კურიკულუმით გათვალისწინებული შუალედური მიზნები ითვალისწინებს მოსწავლეთა მიერ ცოდნის ფუნქციურ კონტექსტებში გამოყენების შესაძლებლობას. **რჩევა: სკოლას მიეცა რჩევა, რომ ახალი სასაწავლო წლის საგნობრივი კურიკულუმების შემუშავების დროს, გაითვალისწინონ - საზოგადეობრივი მეცნიერებების ჯგუფში შემავალ საგნების კურიკულუმში სამივე საფეხურზე ყველა თემის ფარგლებში, წარმოდგენილ იქნას შუალედური მიზანი შემოქმედებითი პროდუქტის სახით, რადგან ეროვნულ სასწავლო გეგმაში სასწავლო პროცესში შუალედური სასწავლო მიზანი განისაზღვრება შემოქმედებით პროდუქტის სახით, რომლის საშუალებითაც მოსწავლე საგნობრივ საკითხთან/საკითხებთან მიმართებით საკუთარ ცოდნას წარმოაჩენს, რომელიც თავის მხრივ მიემართება გრძელვადიანი მიზნებისკენ. მე-12 კლასის გეოგრაფიის საგნობრივ კურიკულუმში მოხდეს მოდიფიცირება**

	შემოქმედებითი დავალების იდეის და გადაიხედოს მე-4 კლასში საგან მე და საზოგადოება, თემა- მე და ჩემი ქვეყანა სამიზნე ცნებები . **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	**ინგლისური / რუსული**: თითოეული საფეხურის კურიკულუმში მოცემული, დაგეგმილი თემატური ერთეული მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზანს. ორივე ენის მიმართულებით, ეს მკაფიოდ ხაზგასმულია. **რუსულ ენაში, (საბაზო საფეხურზე) სკოლას მიეცა რჩევა: ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების უკეთ შესაბამისობის მიზნით, მე-7 და მე-9 კლასის კურკულუმში გამოკვეთოს და დამუშავდეს ყველა სასწავლო მიზანი (საფეხურის შედეგი და სამიზნე ცნება).** **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურის კურიკულუმები მორგებულია ესგ--ით განსაზღვრულ გრძელვადიან გეგმებზე და სტანდარტის შედეგებზე.წარმოდგენილი თემები და მათზე მორგებული სამიზნე ცნებები სწორად და ლოგიკურად არის დაკავშირებული ერთმანეთთან,რაც უზრუნველყოფს დადგენილ შუალედურ და გრძელვადიან მიზნების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურის კურიკულუმები მორგებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებსა (ცნებებსა) და სტანდარტის შედეგებზე. ყველა თემის ფარგლებში მუშავდება სამიზნე თემები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სამივე საფეხურზე კურიკულუმი შექმნილია ესგ-სა და საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით, ითვალისწინებს საგნის მიზნებს, შედეგებსა და საგნის სამიზნე ცნებებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

სპორტი	კურიკულუმები მიემართება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმასა და საგნობრივი საფეხურეობრივი სტანდარტების მოთხოვნის შესაბამისად. ითვალისწინებს საგნის ზოგად მიზნებს, სამიზნე ცნებებს, საფეხურის ბოლოს მისაღწევ შედეგს. მასში შეტანილია სასწავლო თემები სტანდარტით შეთავაზებული თემატური ბლოკებიდან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს, კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები თავისი ბუნებით მოსწავლეებისგან ავტომატურად ითხოვს 6-ვე ფუნქციურ-კომპონენტური უნარის -კრიტიკული აზროვნების, კომუნიკაციის, თანამშრომლობის, შემოქმედებითობის, ნებელობის და მოქალაქეობის გააქტიურებას, წახალისებას და გაცნობიერებას. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ სკოლის მოსწავლეები მონაწილეობენ პროექტების განხორციელებაში და ამ პროცესში კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივ ცოდნასთან ერთად ივითარებენ გლობალურ-ფუნქციურ უნარებს. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მათ აქვთ პროექტების განხორციელების გამოცდილება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	**დაწყებითი კლასების (I-IV) საგნობრივი კურიკულუმები** (ბუნება,მათემატიკა,ქართული) მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს , კომპლექსური ბუნების დავალებების მეშვეობით უზრუნველყოფს, სტანდარტის შედეგების მიღწევას, სასწავლო ერთეულების(ცნება, კონტექსტ- მაგალითი, კომპლექსური დავალება, რესურსი) მიხედვით. **რჩევა: სასურველია, დაწყებითი კლასების(I-IV), საგნობრივი კურიკულუმების დახვეწისა და განვითარების მიზნით პედაგოგთა პროფესიული განვითარების უზრუნველყოფა საგნობრივი კათედრების მიერ.** **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** **რჩევა: სასურველია, სამივე საფეხურის კურიკულუმში ჩანდეს არა მარტო ელექტრონული რესურსების ჩამონათვალი და სახელმძღვანელოს გვერდები, არამედ ლაბორატორიული ხელსაწყოები, ან ვირტუალური ლაბორატორიის შესაბამისი სიმულაციების ბმულები.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფში შემავალ საგნობრივ კურიკულუმებში თემათა მცირე ნაწილს მითითებული აქვს დამატებითი რესურსი/რესურსები. **რჩევა: სასურველია, საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფში შემავალ ყველა საგნის საგნობრივ კურიკულუმში სამივე საფეხურზე გარდა გრიფირებული სახელმძღვანელოსი მითითებული იყოს შესაბამისი თემის, საკითხის ფარგლებში დამატებითი რესურსებიც.მაგ;ანიმაციები,ტელესკოლის გაკვეთილები, ვიდეოები და ა.შ.,რაც უფრო მრავალფეროვანს გახდის სასწავლო პროცესს, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრულ სწავლის შედეგების მიღწევას.** **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები	**ინგლისური / რუსული**: კურიკულუმში მოცემული შუალედური მიზნის შესაბამისი რესურსი მიზნობრივია, რაც ხელს უწყობს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **რჩევა: სასურველია, ორივე ენაში და ყველა საფეხურის კურიკულუმში მითითებული იყოს დამხმარე სასწავლო რესურსები. სასურველი იქნება რესურსების მრავალფეროვნებას მიექცეს ყურადღება.** **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი საგანმანათლებლო რესურსები:რიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, მოსწავლის რვეული, პოსტერები, ტვალსაჩინოებები, განხორციელებული პროექტები, ონლაინ რესურსები, ორიენტირებულია მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე, ხელს უწყობს მოსწავლის სწავლა-სწავლების აქტიურ პროცესში ჩართვას და უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	დაწესებულება სამივე საფეხურზე ძირითადად იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, სხვადასხვა ტიპის (მატერიალური, ციფრული) რესურსს. ესურსული ბაზა საკმარისია სასწავლო პროცესის სწორად წარმართვისთვის და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, დამხმარე სახელმძღვანელოები, math.ge-ზე განთავსებული რესურსები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

სპორტი	კურიკულუმის შედგენისას პედაგოგები ცდილობენ შეიტანონ ისეთი სასწავლო თემები, რომელთა განხორციელებასაც შეძლებენ არსებული, მატერიალური რესურსით. სასწავლო პროცესში იყენებენ მასწავლებლის დამხმარე გზამკვლევებს სპორტის სხვადსხვა სახეობების მიხედვით. ასევე ციფრულ რესურსად წარმოდგენილია ვიდეორგოლები ზოგად განმავითარებელი ვარჯიშებით და ელექტრონული რესურსი ცხოვრების ჯანსაღი წესის პრინციპების შესახებ. საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	რადგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში გრიფირებული სახელმძღვანელო არ არსებობს, მასწავლებლები ძირითადად იყენებენ სამინისტროსთან შეთანხმებულ School.emis.ge ელექტრონულ საგანმანათლებლო რესურსს, რომელიც მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე და ეროვნულ სასწავლო გეგმაზე. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, მოსწავლეებს აქვთ კომპიუტერები როგორც სკოლაში, ასევე სახლებშიც და შეუძლიათ დავალებების შეუფერხებლად შესრულება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სხვადასხვა სახის ინტერნეტრესურსები უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო მიზნების მიღწევას. **რჩევა:სასურველია, დაწყებითი კლასების(I-IV)საგნობრივ კურიკულუმში მითითებული რესურსების მიზნობრიობის დაზუსტება, გათვალისწინება,დაკონკრეტება,ლინკებისა და გამოყენებული მასალის სწორად მითითება.** **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4.სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალებში არ ჩანს დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომები, მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები და ინტერესები. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ჯგუფში შემავალი საგნების სასწავლო პროცესში და სამივე საფეხურის საგნობრივ კურიკულუმში არ ჩანს სწავლების დიფერენცირებული მიდგომები. არ არის ჩამოყალიბებული მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული მრავალფეროვანი აქტივობები.** **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად, უზრუნველყოფს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ჯგუფში შემავალი საგნების სასწავლო პროცესში და საგნობრივ კურიკულუმში, სწავლების დიფერენცირებული მიდგომებს, განსაზღვრავს მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული მრავალფეროვან აქტივობებს.** **შესრულების ვადა - 15.09.2025** **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია მეტწილად**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფში შემავალი საგნების სასწავლო პროცესი სამივე საფეხურზე ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიური სწავლების მიდგომებს. მასწავლებლები ცდილობენ გამოკვეთონ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები და ინტერესები, ამის გათვალისწინებით ნერგავენ დიფერენცირებული სწავლების მეთოდებს და უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას. სკოლის დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სკოლას ჰყავს სსსმ მოსწავლე დაწყებით საფეხურზე ,რომლის შესაბამისი ინდივიდუალური გეგმა იქნა წარმოდგენილი. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს, რომ სასწავლო პროცესს გეგმავენ მოსწავლის ინტერესისა და შესაძლებლობიდან გამომდინარე, ასევე ყველა

	მოსწავლეს ეძლევა საშუალება თავის უნარის, გამოცდილებისა და ინტერესების შესაბამისად შექმნას შემოქმედებითი პროდუქტი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	**ინგლისური / რუსული**: შუალედური მიზნის მისაღწევად განსაზღვრულია, შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რას თავისთავად გულისხმობს დიფერენცირებულ მიდგომას, რადგან მიზნის მისაღწევად გამოყენებულია სახვადასხვა ტიპის აქტივობები (დავალებები). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	კათედრის მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებს სამივე საფეხურზე. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს დიფერენცირებული სწავლის მიდგომებს. სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუებში იკვეთება, რომ სწავლების პროცესში, მასწავლებლები იყენებენ დიფერენცირებული სწავლების ელემენტებს. მოსწავლეებს სთავაზობენ მის საჭიროებებზე მორგებული დავალებებს, მათ შესასრულებლად აძლევენ შესაბამისის დროს. მასწავლებლებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ ასევე აქცენტი კეთდება არჩევანის თავისუფლებაზე, მაგ როდესაც აქვთ კომპლექსური დავალების პროდუქტი შესაქმნელი შესაძლოა მოსწავლემ დაამზადოს მისთვის სასურველ ფორმატში (ხელით ან ელექტრონულად, ასევე პოსტერი ან ბუკლეტი და ა.შ). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	კათედრის მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი სამივე საფეხურზე ითვალისწინებს დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებს სამივე საფეხურზე. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს დიფერენცირებული

	სწავლის მიდგომებს. ►იფრენცირება ნათლად იკვეთება სხვადასხვა მზაობისა და ინტერესების მქონე მოსწავლეებისთვის დასმულ შეკითხვებსა და უკუკავშირის ფაქტორებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	პედაგოგებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ცდილობენ და ითვალისწინებენ სასწავლო პროცესის მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებას. დოკუმენტაციაში წარმოდგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, სსსმ მოსწავლისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	პედაგოგებთან საუბრისას აღმოჩნდა, რომ ისინი ცდილობენ სასწავლო პროცესები მოარგონ მოსწავლეთა საჭიროებებს, ინტერესებს და ფიზიკურ შესაძლებლობებს. საგანში ჰყავთ სსსმ მოსწავლეც, რომლისთვისაც შედგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც წარმოდგენილი იყო. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	საგნის მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ გეგმავენ და მოსწავლეებთან იყენებენ მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებულ აქტივობებს. საგნის მასწავლებლების მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმში კარგად არ ჩანს, რომ მათ მიერ დაგეგმილი აქტივობები მოსწავლეებს აძლევს არჩევანის საშუალებას, ანუ მასწავლებლები თუ ითვალისწინებენ მოსწავლეთა საჭიროებებს, რაზეც მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ამას პრაქტიკულად ახორციელებენ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კლასების საგნობრივ კურიკულუმებზე დაყრდნობით,შეიძლება ითქვას,რომ კომპლექსური დავალებების პროდუქტის შექმნის დროს არჩევანის შესაძლებლობა აქვს მოსწავლეს. პედაგოგები მოსწავლეთა ინტერესების, უნარებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით ახდენენ სასწავლო აქტივობების დაგეგმვას, სასწავლო რესურსების შერჩევასა და გარემოს ადაპტირებას. **რჩევა:** **სასურველია, დაწყებითი კლასების (I-IV), საგნობრივ კურიკულუმში აისახოს სასწავლო წლის განმავლობაში მიღებული გამოცდილების შესაბამისი ჩანაწერები დავალებების დიფერენცირებასთან დაკავშირებით.** **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლამ წარმოადგინა ზოგადი სახის შეფასების რუბრიკები, რომლებიც არ იყო მორგებული კონკრეტულ თემატურ ერთეულზე. დაწესებულებას არ წარმოუდგენია დიაგნოსტიკური წერების შედეგები, რაც სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებას შეუწყობდა ხელს. **მასწავლებლებს არ აქვთ შექმნილი კონკრეტულ თემაზე მორგებული შეფასების რუბრიკები. სკოლამ სამივე საფეხურზე უნდა შეიმუშავოს ფორმა მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების დიაგნოსტირების მიზნით, რაც გამოადგებათ სასწავლო პროცესის სწორად დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში.**

	სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად, სკოლამ შეიმუშავებს - კონკრეტულ თემაზე მორგებული შეფასების რუბრიკებს (საბუნებისმეტყველო მეცნიერებები); ფორმას მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების დიაგნოსტირების მიზნით, რაც გამოადგებათ სასწავლო პროცესის სწორად დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. **შესრულების ვადა - 23.09.2025** **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია მეტწილად**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფში შემავალ საგნებში შემუშავებულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც მიემართება საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. **რჩევა: სასურველია, საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფში შემავალმა საგნებმა კათედრებზე ერთობლივად შეიმუშაონ და გამოიყენონ სამივე საფეხურზე ყველა თემის ფარგლებში შესაბამისი, როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. უმჯობესია,შეფასების რუბრიკების შექმნისას გაითვალისწინოთ, რომ განმავითარებელი შეფასების რუბრიკა იქმნება თემებიდან გამომდინარე სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე დაყრდნობით შერჩეული შემოქმედებითი ტიპის დავალებებისთვის, ხოლო მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის დასადგენად იქმნება განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შესაბამისი საგნობრივი სტანდარტის ინდიკატორებიდან გამომდინარე.** **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	**ინგლისური / რუსული**: მოცემულია შეფასების სქემები, რომლებიც უფრო ზოგადია, რაც ნაკლებად ითვალისწინებს კონკრეტულ თემაზე მორგებულ შეფასებას. გამომდინარე აქედან სკოლას მიეცა

	რჩევა: სასურველია, საბაზო და საშუალო საფეხურზე, შექმნას შუალედური მიზნის შესაბამისი, კონკრეტული შეფასების სქემა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სასკოლო სასწავლო გეგმაში სკოლას წარმოდგენილი აქვს მოსწავლის შეფასების სისტემა, სადაც გაწერილია მოსწავლის შეფასების მიზნები, პრონციპები და ამოცანები. მტკიცებულებად წარმოდგენილია რამოდენიმე განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, რომელიც ზოგად წარმოდგენას ქმნის, საფეხურის ფარგლებში შეფასებების წარმოების წესზე. სკოლას აქვს გამოცდილება და მზაობა იმისათვის, რომ შეფასება მიემართებოდეს გრძელვადიან მიზნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	დაწესებულებამ სამივე საფეხურზე წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ყველა მათგანი ემყარება საგნობრივ სტანდარტს. **რჩევა: სამივე საფეხურზე, შეფასების რუბრიკების რაოდენობა გაზარდონ და გამოიყენონ ყველა განმსაზღვრელი შეფასების დროს, ეფექტიანად გამოიყენონ განმავითარებელი შეფასება დაზუსტების, წახალისებისა და რჩევის კომპონენტების დაცვით.** **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სკოლამ წარმოადგინა პრეზენტაციის, საკლასო დავალების, საშინაო დავალების შეფასების სქემები, ასევე შემაჯამებელი დავალების ანალიზები, რომლებიც ზოგადია და ნაკლებადაა გათვალისწინებული თემის შეფასება. წარმოდგენილია აგრეთვე რამოდენიმე ნიმუში განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების, რომელიც ეფუძნება საგნობრივ სტანდარტს. **რჩევა: სასურველია, შექმნან შუალედური მიზნის შესაბამისი, კონკრეტული თემის შესაბამისი შეფასების რუბრიკები სამივე საფეხურზე, ყველა თემასთან დაკავშირებით და გამოიყენონ ყველა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების დროს.**

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
სპორტი	სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკები, რომლებიც აფასებს კურიკულუმით გათვალისწინებული სამივე სამიზნე ცნებისთვის მისაღწევ შედეგს. **რჩევა: საბაზო და საშუალო საფეხურზე სამომავლოდ, სასურველი იქნება, შეფასების რუბრიკები შეიქმნას კურიკულუმით გათვალისწინებული სხვა თემების მიხედვითაც** **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	სკოლას არ ჰქონდა წარმოდგენილი ჰქონდა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რაზეც მიეცათ შენიშვნა და ვიზიტის მეორე დღისთვის გამოგზავნეს ზოგადი სახის განმავითარებელი შეფასების რუბრიკა. **მასწავლებლებს არ აქვთ შექმნილი ცნებებზე და გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.** **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად, ტექნოლოგიების მასწავლებლები შექმნიან ცნებებზე და გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასების რუბრიკებს.** **შესრულების ვადა - 23.09.2025** **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია მეტწილად**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კლასების პედაგოგებს მეტნაკლებად აქვთ გააზრებული, თუ როგორ უნდა შეაფასონ მოსწავლეები. **რჩევა: სასურველია, დაწყებითი კლასების საგნობრივ კათედრაზე(I-IV), გააქტიურდეს პედაგოგთა თანამშრომლობა, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნით,რომ მათ შეძლონ შეფასების რუბრიკებში სხვადასხვა შესაძლებლობების მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება და კურიკულუმში**

	შესაბამისი აქტივობების გაწერა,ასევეე დაადგინონ მათი მიღწევების დონე ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან მიმართებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *საგნობრივი კურიკულუმები*
- *განმავითარებელი შეფასების რუბრიკა*
- *საგნობრივი კურიკულუმები (მათემატიკა) I-XII კლასები.*
- *მათემატიკა დაწყებითი (ბარათი).*
- *5-კლასი-შემაჯამებელი ანალიზი(მათემატიკა)*
- *განმავითარებელი შეფასების რუბრიკა კლასი IV (მათემატიკა)*
- *ესგ მათემატიკა 4 კლასი*
- *7კლასი-შემოქმედებითი ტიპის დავალება(მათემატიკა)*
- *7კლასი-კომპლექსური დავალების რეფლექსია (მათემატიკა)*
- *IXკლასი განმსაზღვრელიშეფასება (მათემატიკა)*
- *10კლასი _შემოქმედებითი ტიპის დავალება (მათემატიკა)*
- *10 კლასი-კომპლექსური დავალების რეფლექსია(მათემატიკა)*
- *შეფასების რუბრიკა-მე-10 კლასი (მათემატიკა)*
- *10-შემაჯამებლის ანალიზი(მათემატიკა)*
- *განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა. 10 კლასი (მათემატიკა)*
- *მათემატიკის კათედრა (სხდომის ოქმი)*
- *წლიური ანგარიში(მათემატიკის კათედრა)*
- *საგნობრივი კურიკულუმები (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო, ისტორია, საქართველოს ისტორია, მოქალაქოება, გეოგრაფია)*
- *საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა (სხდომის ოქმი).*

- *საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფში შემავალი საგნების განმავითარებელი შეფასების რუბრიკები (სამივე საფეხურზე.)*
- *საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფში შემავალი საგნების განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები (საბაზო და საშუალო საფეხურზე)*
- *საგნობრივი კურიკულუმები: ბუნებისმეტყველება (1,2,3,4,5,6 კლასები);*
  ფიზიკა (7,8,9,10,11,12 კლასები);
  ქიმია (8, 9, 10, 11, 12 კლსები);
  ბიოლოგია (7, 8, 9, 10, 11, 12 კლასები).
  - *საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ჯგუფში შემავალი საგნების განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები (საბაზო და საშუალო საფეხური);*
  - *საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის სხდომის ოქმები;*
  - *ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ბუნებისმეტყველებაში.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	პედაგოგებთან შეხვედრისას აღინიშნა, რომ ასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. **რჩევა: კარგი იქნებოდა, მეტი დამაჯერებლობისთვის, სკოლას სამივე საფეხურზე წარმოედგინა მოსწავლეათა ნამუშევრები, შემოქმედებითი დავალების პროდუქტები (მოდელები, მაკეტები და სხვ.), რაც მეტ ინფორმაციას მოგვცემდა, თუ როგორ იმუშავა დაგეგმილმა აქტივობებმა და რა შედეგზე გავიდა საბოლოოდ მასწავლებელი.** **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფში შემავალი საგნების საგნობრივი კურიკულუმები პედაგოგთა მიერ სწორადაა ფორმულირებული. ინტერვიუს დროს ისაუბრეს ,რომ მათ მიერ შექმნილი კურიკულუმი ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.დაასახლეს მათ მიერ განხორციელებული სასკოლო პროექტები, სადაც ჩართული სკოლის საზოგადოება. ინტერვიუს დროს მათ მიეცათ რჩევა, რომ ყველა თემის ფარგლებში განახორციელონ შემოქმედებითი ტიპის დავალება. რჩევა: *საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფში შემავალი საგნების კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი იყოს სამივე საფეხურზე თითოეული თემის შესასწავლი საკითხის ფარგლებში განსაზღვრული აქტივობები, რომელიც უზრუნველყოფს სწავლის შედეგებს, რადგან ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით სწავლის შედეგი მიღწეულად მიიჩნევა, როცა მოსწავლეს შეუძლია საგნობრივ საკითხთან დაკავშირებული ფაქტებისა და მოვლენების კრიტიკულად და ურთიერთდაკავშირებულად გააზრება, გაანალიზება და სხვადასხვა სიტუაციაში გამოყენება.ასევე ,მომავალი წლისათვის ყველა თემის ფარგლებში შეიტანონ შუალედური სასწავლო მიზანი, რომელიც*

	განისაზღვრება შემოქმედებითი პროდუქტის(კომპლექსური ტიპის დავალება) სახით ,რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეს წარმოაჩინოს საკუთარი ცოდნა საგნობრივ საკითხთან/საკითხებთან მიმართებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	**ინგლისური / რუსული**: სასწავლო პროცესში, სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად დაგეგმილი აქტივობების განხორციელების ერთ-ერთი დასტურია მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, მათი შეფასებები და უკუკავშირი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი აქტივობები სამიზნე ცნებებთან და თემასთან მიმართებაში შესაბამისია. შერჩეულია კომპლექსური დავალების იდეები, ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება, განსაზღვრულია ზოგადი ქვეცნებები, თუმცა შესაძლებელია იდეებისა და აქტივობების გამრავალფეროვნება. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესში, სამივე საფეხურზე სასკოლო გეგმის შესაბამისად, დაგეგმილი აქტივობების განხორციელების ერთ-ერთი დასტურია მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, მათი შეფასებები და უკუკავშირი. ზოგიერთ შემთხვევაში, დაწესებულებაში წარმოდგენილია დაგეგმილის გარდა, სხვა პროდუქტებიც, რომელთა შექმნა დაკავშირებულია მოსწავლეთა ინტერესებსა და სასწავლო მიზნების მისაღწევად. **რჩევა: სამივე საფეხურზე მომდევნო სასწავლო წლისთვის, თემის ფარგლებში, გაზარდონ შემქმედებითი ტიპის დავალებათა იდეების რაოდენობა, რადგან დაგეგმილზე მეტი სრულდება ზოგიერთ კლასში.** **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

მათემატიკა	სასწავლო პროცესი დაგეგმილია წარმოდგენილი კურიკულუმების მიხედვით, დასტურად წარმოდგენილია რამოდენიმე ფოტომასალა. პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად, მიეცათ **რჩევა: რომ 2025-2026 სასწავლო წლის დაგეგმვისა და შემუშავების დროს, სამივე საფეხურზე გათვალისწინებული და ასახული იქნას მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში მიღებული გამოცდილება და შეიმუშავონ კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია.** **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში (სამივე საფეხურისათვის), პედაგოგების მიერ სწორადაა გაწერილი ის სასწავლო თემები და საკითხები, რომელთა განხორციელებასაც მოახერხებენ სასწავლო პროცესის წარმართვისას, სკოლის ბაზაზე არსებული, ინფრასტრუქტურის მიხედვით. პედაგოგები ცდილობენ სასწავლო პროცესის წახალისებას და კურიკულუმით გაწერილი თემების ფარგლებში სასკოლო აქტივობების გარდა (სასკოლო ფესტივალები), არაფორმალური განათლების მხრივ აქტივობებში ჩართონ მოსწავლეები. სასწავლო პროცესი გათვლილია გრძელვადიან მიზნებზე - მოსწავლეების საფეხურის შესაბამის შედეგზე გასაყვანად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	სკოლას წარმოდგენილი აქვს მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, მათი ნამუშევრები. სასკოლო კურიკულუმით დაგეგმილი აქტივობების და სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალების შესაბამისობიდან, ასევე მასწავლებელთა ინტერვიუდან ჩანს რომ, რომ მოსწავლეები ჩართულები არიან კურიკულუმით გაწერილ აქტივობებში და პროექტში, რაც ადასტურებს იმას, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. **რჩევა: სასურველია, კურიკულუმების შემუშავებისას, დაწყებითი კლასების (I-IV) საგნობრივმა კათედრამ უზრუნველყოს და გაითვალისწინოს საგნის კურიკულუმის შეთანხმებული დიზაინის შესაბამისობა სასკოლო კურიკულუმთან.** **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

ყველა მოსწავლე უნიკალურია ინდივიდუალური საჭიროებებით და სწავლების სტილით. სკოლაში სწავლობს 1 სსსმ მოსწავლე, რომელთანაც აქტიურად მუშაობს სპეცმასწავებელი, ასევე საჭიროების შემთხვევაში საგაკვეთილო პროცესში ჩართულია სხვა საგნობრივი მასწავლებლებიც, ხოლო დასვენების დროს მოსწავლეებიც.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	**დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები სამივე საფეხურზე არ იძლევა საფუძველს, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.** **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად, სკოლა შეიმუშავებს შეფასების რუბრიკებს რომლის საფუძველზე გამოიკვეთება, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.**

	შესრულების ვადა - 23.09.2025 **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია მეტწილად**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესებს, ვადებსა და პირობებს. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი; კათედრის მიერ წარმოდგენილი იქნა შეფასების ზოგადი რუბრიკები, რომელთა გამოყენებაც ხდება შესაბამისი თემატიკიდან გამომდინარე. **რჩევა: სასურველია, საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ სამივე საფეხურზე შეფასების რუბრიკების შექმნისას მომავალში უფრო მეტად ორიენტირება გააკეთონ გრძელვადიან მიზნებზე და მომავალში ყველა თემის შემაჯამებელ ან შემოქმედებით დავალების რუბრიკებში ყველა სამიზნე ცნების აღქმა-გააზრება შეფასდეს მოცემული საკითხის კონტექსტში. კარგი იქნება თუ საზოგადოებრივი კათედრის წარმომადგენლები ინტენსიურად იმუშავებენ შეფასების სისტემის გადამუშავებაზე და შექმნიან უფრო მეტ კონკრეტულ დავალებაზე მორგებულ შეფასების რუბრიკებს.** **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	**ინგლისური / რუსული**: წარმოდგენილი შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი იძლევა საშუალებას ვიფიქროთ რომ მოცემული შეფასების სისტემა არის, სანდო, ობიექტური და მრავალფეროვანი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცით ვლინდება, რომ სკოლას გააზრებული აქვს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური შეფასების სისტემის მნიშვნელობა. სწავლების ყველა საფეხურისთვის შექმნილია შეფასების რუბრიკები სტანდარტის

	მოთხოვნების და საკითხების გათვალისწინებით. მასწავლებლებთან ინტერვიუდან ჩანს, რომ სწავლა-სწავლების პროცესში კათედრაზე გამოყენებულია შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი (სიტყვიერი-ზეპირი კომენტარი, რუბრიკა)მოსწავლეებმა წინასწარ იციან თუ რის მიხედვით ფასდებიან, რადგან ისინი თავადაც მონაწილეობენ შეფასების პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილი შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი სამივე საფეხურზე იძლევა საშუალებას, ვიფიქროთ, რომ მოცემული შეფასების სისტემა არის, სანდო, ობიექტური და მრავალფეროვანი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	წარმოდგენილი შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ შეფასების სისტემა არის სანდო, ობიექტური და მრავალფეროვანი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკები და სკოლაში არსებობს ვერიფიკაციის მექანიზმი. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები შემუშავებული ესგ ს მოთხოვნების გათვალისწინებით და გამომდინარეობს საგნობრივი სტანდარტიდან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ წარმოდგენილ იქნა მხოლოდ ზოგადი სახის, კერძოდ "საგაკვეთილო პროცესში ჩართულობის და მიღწევის დონის განმავითარებელი შეფასების რუბრიკა", 4 საფეხურიანი შეფასების რუბრიკა, რომელიც არ არის სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული და ვერ უზრუნველყოფს მოსწავლეთა ცოდნის ვალიდურ, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტურ და სამართლიან შეფასებას. **მასწავლებლებს არ აქვთ შექმნილი ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი შეფასების უზრუნველმყოფი შეფასების რუბრიკები.**

	სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად, შეიმუშავებს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი შეფასების უზრუნველმყოფი შეფასების რუბრიკებს **შესრულების ვადა - 23.09.2025** **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია მეტწილად.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ მოწოდებული, დაწყებითი საფეხურის განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ზოგადია, მოსწავლეების შეფასება ხდება სასწავლო პროცესზე დაკვირვებით. **რჩევა: განმავითარებელი შეფასების რუბრიკების კრიტერიუმების შესამუშავებლად და დასახვეწად, აუცილებელია დაწყებითი კლასების კათედრამ(I-IV) ,ითანამშრომლოს პედაგოგებთან რომ შეფასება იყოს კონკრეტული და თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას/პროგრესს გვიჩვენებდეს.**

4. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. რომლის მიხედვითაც ხდება როგორც სწავლის ხარისხის გაუმჯობესება ასევე სწავლა-სწავლების მონიტორინგი. სკოლა იყენებს განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას. ასევე, საგნების მიხედვით, თემატური ერთეულების აქტივობიდან გამომდინარე მოსწავლეთა თვით-შეფასებას. სკოლას მიეცა

რჩევა: სასურველია ასევე გამოყენებულ იყოს მოსწავლეთა ურთიერთშეფასებაც.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლაში მიმდინარეობს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების ჟურნალში აღრიცხვა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სერიფიკაციის მეთოდოლოგია*
- *ურთიერთდასწრების გეგმა*
- *შეფასების ინსტრუმენტები*
- *მოსწავლეთა ნამუშევრები/პროექტები/შემაჯამებელი დავალებები/ანალიზი/შეფასება*
- *ესგ გეგმა*

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პედაგოგებთან გასაუბრების საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლა სამივე საფეხურზე იყენებს ძირითად და დამხმარე სასწავლო რესურსებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფში შემავალი საგნების პედაგოგები იყენებენ სხვადასხვა ტიპის სასწავლო რესურსებს, რაზეც ინტერვიუს დროს ისაუბრეს, თუმცა ყველა საგნობრივ კურიკულუმში არ არის რესურსების მრავალფეროვნება. ინტერვიუს დროს

	პედაგოგებს მიეცათ რჩევა, რომ ყველა კლასის საგნობრივ კურიკულუმებში შეიტანონ, ყველა ის რესურსი, რასაც იყენებენ სასწავლო პროცესში. **რჩევა: სასურველია, სამივე საფეხურზე საგნობრივ კურიკულუმებში შეტანილ იქნას ყველა ის რესურსი, რასაც იყენებენ პედაგოგები სასწავლო პროცესში და ყურადღება მიექცეს სხვადასხვა ტიპის შინაარსის მრავალფეროვანი სასწავლო რესურსის გამოყენებას.** **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	**ინგლისური / რუსული**: მასწავლებლები იყენებენ ძირითად სასწავლო რესურსებს. აღნიშნულის დასტურია, შედგენილი კურიკულუმების შესაბამისად განხორციელებული დავალებები. **რჩევა: სასურველი იქნება, სამივე საფეხურზე, რესურსების მრავალფეროვნებას მიექცეს ყურადღება.** **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია საგანმანათლებლო რესურსები (გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები), თუმცა გასაუბრების შედეგად აღმოჩნდა რომ სასწავლო პროცესში მასწავლებლები და მოსწავლეები იყენებენ სკოლაში არსებულ სხვა მატერიალურ თუ ელექტრონულ რესურსებს. სკოლაში ხდება რესურსების იდენტიფიცირება და ეფექტურად გამოყენება, რომელიც ემსახურება სწავლისა და სწავლების ხარისხის პოზიტიურ მიღწევებს, წარმოდგენილი დამატებითი რესურსები ორიენტირებულია მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე, ხელს უწყობს მოსწავლის სწავლა-სწავლების აქტიურ პროცესში ჩართვას და უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	დაწესებულება სამივე საფეხურზე საგნის სწავლების დროს იყენებს ძირითად და დამხმარე რესურსებს.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
მათემატიკა	სკოლა იყენებს ძირითად და დამხმარე რესურსებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ ისინი სასწავლო პროცესში იყენებენ კურიკულუმით გაწერილ რესურსებს: არსებულ სპორტულ ინვენტარს, გზამკვლევებს მასწავლებლისათვის, ვიდეორგოლებს ზოგადგანმავითარებელი ვარჯიშებით, პრეზენტაციებს თეორიისათვის. პედაგოგები ცდილობენ არსებული ინფრასტრუქტურის კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის საფეხურეობრივ შედეგზე გაყვანას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	სკოლა იყენებს სამინისტროსთან შეთანხმებულ ელექტრონულ საგანმანათლებლო რესურსს https://school.emis.ge/ და სხვა დამხმარე რესურსებს, რომელიც გაწერილი აქვს სასკოლო საგნობრივ კურიკულუმში, წარმოდგენილი აქვს მოსწავლეთა ნამუშევრები განხორციელებული პროექტებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	**დაწყებითი კლასების (I-IV) საგნობრივ კურიკულუმში,** სასწავლო პროცესისთვის შერჩეული რესურსები არც ისე მრავალფეროვანია, ძირითად რესურსად მითითებულია საგნის გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, თუმცა პედაგოგები იყენებენ ინტერნეტრესურსებს, საკუთარი და მოსწავლეთა ხელით შექმნილ პლაკატებს, მოდელებს. **რჩევა: სასურველია, დაწყებითი კლასების (I-IV), საგნობრივი კათედრის გააქტიურება, პედაგოგთა ურთიერთთანამშრომლობისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით.** **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კათედრის ოქმით დასტურდება, რომ საბაზო და საშუალო საფეხურზე დამატებითი რესურსები შერჩეულია საგნობრივ კათედრებზე და ხელმისაწვდომია პედაგოგებისა და მოსწავლეებისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების ოქმში დასტურდება, რომ კურიკულუმით გათვალისწინებული დამატებითი რესურსები განსაზღვრულია საგნობრივ კათედრებზე განხილვის შედეგად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	**ინგლისური / რუსული**: უცხოური ენების კათედრის ოქმში დასტურდება კათედრის პედაგოგების მიერ დამხმარე რესურსის შესაბამისობის განხილვის ფაქტი. **რჩევა: სასურველია, კათედრამ ყველა საფეხურისთვის, შეიმუშავოს დამხმარე რესურსის ვალიდაციის ფორმა, რომელიც განსაზღვრავს დამხმარე სასწავლო რესურსის საგნობრივ და ეთიკურ მიზანშეწონილობასა და ასაკისათვის შესაბამისობას.** **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	დაწესებულების მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში ასევე გასაუბრების დროს წარმოდგენილ ფაქტებზე დგინდება, რომ სკოლაში არსებული რესურსები საჯაროა და ხელმისაწვდომია მასწავლებლებისთვის, მოსწავლეებისთვის და სკოლაში დასაქმებული სხვა პერსონალისთვის. რესურსები გამოიყენება შესაბამის სასწავლო და არაფორმალურ გარემოში

	მიზნობრივად, სკოლა უზრუნველყოფს რესურსების შევსებას, განახლებას და ხელმისაწვდომობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	კათედრის ოქმში დასტურდება კათედრის წევრების მიერ, ამივე საფეხურზე, დამხმარე რესურსის შესაბამისობის განხილვის ფაქტი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	კათედრის ოქმით დასტურდება დამხმარე რესურსის შესაბამისობის განხილვის ფაქტი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	გასაუბრებისას აღმოჩნდა და კურიკულუმში გაწერილი რესურსიც ადასტურებს, რომ ისინი ახდენენ ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამის რესურსების ვალიდაციას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	სკოლა იყენებს სამინისტროსთან შეთანხმებულ ელექტრონულ საგანმანათლებლო რესურსს https://school.emis.ge/ და სხვა დამხმარე რესურსებს, რომელიც გაწერილი აქვს სასკოლო საგნობრივ კურიკულუმში. სკოლის მიერ წარმოდგენილი დამხმარე რესურსები კომპიუტერულ ტექნოლოგიებში არის ვალიდური და ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლაში არსებული და გამოყენებული დამხმარე რესურსების ვალიდაცია ხდება სკოლის დირექციის **დაწყებითი კლასების (I-IV) საგნობრივ** კათედრასთან თანამშრომლობით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დაწყებით საფეხურზე, სკოლას აქვს სასწავლო კურიკულუმის შესაბამისი მატერიალური რესურსი სწავლა-სწავლების შეუფერხებლად წარმართვისათვის. სკოლაში არის ფიზიკის კაბინეტი, რომელიც არ იძლევა ექსპერიმენტების/ ან ლაბორატორიული სამუშაოების სრულყოფილად ჩატარების შესაძელბლობ **სკოლაში არ არის საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, რაც საბაზო და საშუალო საფეხურზე, ხელს უშლის კურიკულუმში გაწერილი აქტივობების სრულყოფილად განხორციელებას.** **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად, უზრუნველყოფს სკოლაში საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობას.** **შესრულების ვადა - 15.09.2026** **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია მეტწილად.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფში შემავალი საგნების საგნობრივ კურიკულუმებში სამივე საფეხურზე სკოლას აქვს გათვალისწინებული შესაბამისი

	მატერიალური რესურსი სწავლის შედეგებზე გასასვლელად, რომელსაც პედაგოგები და მოსწავლეები იყენებენ საჭიროებისამებრ; **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	**ინგლისური / რუსული**: სკოლას აქვს შესაბამისი რესურსი, რათა მოხდეს უცხოური ენის ოთხივე მიმართულების (მოსმენა, კითხვა, წერა, ლაპარაკი) მიხედვით კომპეტენციების განვითარება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურზე კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას სკოლა უზრუნველყოფს როგორც მატერიალური რესურსით (გრიფმინიუჭებული სახელმძღვანელოებით) ასევე შესაბამისი მატერიალური რესურსების გამოყენებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. ამისთვის სკოლას გააჩნია აღჭურვილი საკლასო ოთახები შესაბამისი ინვენტარითა და ციფრული ტექნოლოგიებით, რომლებიც შეესაბამება სასწავლო მიზნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე სკოლას აქვს საჭირო მატერიალური რესურსი სასწავლო პროცესის გამართული ფუნქციონირებისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სკოლას აქვს საჭირო მატერიალური რესურსი სასწავლო პროცესის გამართული ფუნქციონირებისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია არსებული მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
ტექნოლოგიები	მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სკოლა აღჭურვილია თანამედროვე ტიპის კომპიუტერული ტექნიკით, აქვთ მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი როგორც ლეპტოპები, ასევე კომპიუტერები და ყველა მოსწავლეს შეუძლია მათზე მუშაობა, როგორც გაკვეთილის მიმდინარეობისას, ასევე გაკვეთილების შემდეგაც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლა, კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს მოწავლეთა საჭიროებებზე მორგებული და შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

სკოლას არ ჰყავს კანონდებლობის შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი. კერძოდ, **ტექნოლოგიების მასწავლების კვალიფიკაცია არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას („მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის №241 დადგენილება. მუხლი 37) ინფორმაციულ ტექნოლოგიებს ასწავლის უფროსი მასწავლებლის სტატუსის მქონე დაწყებითების მასწავლებელი და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელი.**

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად, სკოლაში დასაქმდება კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი ტექნოლოგიების მასწავლებელი.

შესრულების ვადა - 11.08.2026

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია მეტწილად

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები*
- *დირექტორის წლიური ანგარიში*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სკოლას გააჩნია შეფასების გაკვეთილების ჩატარების გამოცდილება. მონიტორინგი და ~შეფასება ხორციელდება მასწავლებელთა ურთიერ დასწრების და გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე. ისგ სპეციალური ჯგუფი კი მონაწილეობას იღებს შიდა მონიტორინგში და ანგარიშს წარუდგენს სკოლის დირექტორს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

ურთიერთ დასწრების ~შედეგად გაცემულ რეკომენდაციებში აქცენტი კეთდება გაკვეთილის შედეგად გამოვლენილ დადებით და გამოსასწორებელ საკითხებზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

ურთიერთ დასწრების შედეგად გაცემული რეკომენდაციები ძირითადად ატარებს განმავითარებელ ხასიათს, რაც გულისხმობს: პირველ რიგში აქცენტს აკეთებენ ჩატარებული გაკვეთილის ან ღონისძიების დადებით მხარეზე, ასევე გამოკვეთავენ ხარვეზებს/რამ ვერ გაამართლა და საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით, სხვა კოლეგებთან ერთად კონკრეტულ მასწავლებელს სთავაზობენ ალტერნატიულ წყაროებს, ატქივობებს, რესურსებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია*
- *განრიგი დასწრების შესახებ*
- *გატარებული გაკვეთილ;ის რეფლექსია*
- *გათედრის ოქმებიმახარდამჭერთა ჯგუფის ოქმი*

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

აკადემიური წლის განმავლობაში, ცალკეული საგნის განმსაზღვრელი შეფასება სამი კომპონენტის მიხედვით მიმდინარეობს: მიმდინარე საშინაო დავალება, მიმდინარე საკლასო დავალება და შემაჯამებელი დავალება, რომლის საფუძველზე ხდება სემესტრული და წლიური ქულის გამოყვანა. განმავითარებელ შეფასებას ძირითადად იყენებენ შუალედური დავალების დროს, რომლის შედეგადაც ხდება მოსწავლის ცოდნის დონის დადგენა ამ კონკრეტულ დავალებასთან მიმართებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

განმსაზღვრელი შეფასება მიმდინარეობს შუალედური დავალებისთვის შესაბამისი შეფასების რუბრიკის მიხედვით, ხოლო განმავითარებელი შეფასება თემის დასრულების დროს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

სასწავლო პროცესის დროს მოსწავლეთა შეფასება მიმდინარეობს შეფასების რუბრიკების დამოყენებით, ზეპირი ან წერითი ფორმით. ზეპირი შეფასების დროს კომენტარების სახით აფიქსირებენ როგორც დადებით ასევე გამოსასწორებელ საკითხებს. . მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები ფასდება ათქულიანი სისტემით ხუთი დონის მიხედვით

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

შუალედურ დავალებაზე მუშაობის დროს ცალკეული აქტივობისთვის სკოლა იყენებს სპეციალურად ამ აქტივობისთვის შექმნილ შეფასების რუბრიკას, რომელიც საგნობრივ სამიზნე ცნებების შეფასების ინდიკატორზე გადის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *შეფასების ინსტრუმენტები*
- *მოსწავლეთა ნამუშევრები/პროექტები/შემაჯამებელი დავალებები/ანალიზი/შეფასება*
- *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა*
- *შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა*
- *ურთიერთ დასწრების განრიგი*
- *კათედრის ოქმები*
- *მასწავლებლის რეფლექსია*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*

☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

   კათედრის სხდომაზე, სასწავლო წლის ბოლოს, მასწავლებლები აჯამებენ მიმდინარე წლის მუშაობას და კურიკულუმის განხორციელების |შედეგებს. საჭიროების შემთხვევაში, მასწავლებელი ცვლილებების შეტანის აუცილებლობას ათანხმებენ კატედრასთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება მიმდინარე წლის ანალიზს, რომელშიც გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება და მონიტორინგის შეგედები

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კათედრის ოქმები*
- *ჩატარებული გაკვეთილის რეფლექსია*
- *მხარდამჭერთა ჯგუფის ოქმი*
- *განრიგი დასწრების შესახებ*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

თარიღი 13.08.2025

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: